კარლ გუსტავ იუნგი

ანალიზური ფსიქოლოგიის საფუძვლები

მეორე ლექცია

[…]

ძვირფასო ქალბატონებო და ბატონებო, გუშინ ჩვენი ცნობიერების ფურცლები მიმოვიხილეთ. დღეს მინდა ბოლომდე მივიყვანო ფსიქიკის სტრუქტურის პრობლემის განხილვა. ადამიანის ფსიქიკის შესახებ მსჯელობა სრული არ იქნებოდა, არაცნობიერი პროცესების არსებობა რომ მხედველობიდან გამოგვრჩენოდა. ნება მიბოძეთ, მოკლედ შეგახსენოთ, რაზედაც გუშინ საღამოს ვსაუბრობდით.

არაცნობიერ პროცესებს უშუალოდ ვერ მივუდგებით – მათზე ხელი არ მიგვიწვდება. მათი უშუალო აღქმა შეუძლებელია, ისინი მხოლოდ თავინთ შედეგებში ვლინდებიან და, ამ შედეგთა სპეციფიკური თავისებურებებიდან გამომდინარე ვასკვნით, რომ მათ მიღმა უნდა იყოს რაღაც, საიდანაც ისინი სათავეს იღებენ. ამ ბნელ სფეროს ჩვენ არაცნობიერ ფსიქიკას ვუწოდებთ.

ცნობიერების ექსტოფსიქიკური შინაარსები, პირველ რიგში, გარემოს ზეგავლენებით, ფიზიკურ შეგრძნებითი აღქმების მონაცემებით საზრდოობენ. მაგრამ არსებობს ისეთი შინაარსებიც, რომლებიც სხვა წყაროებიდან იღებენ დასაბამს, როგორიცაა, მაგალითად, მეხსიერება და განსჯის უნარი. ესენი ენდოფსიქიკურ სფეროს განეკუთვნებიან. ცნობიერების შინაარსების მესამე წყარო კი ფსიქიკის ბნელი სამყაროა, არაცნობიერი. აქ ჩვენ ენდოფსიქიკური ფუნქციების თავისებურებებს ვაწყდებით. ისინი იმ მედიუმს წარმოადგენენ, რომლის მეშვეობითაც არაცნობიერი შინაარსები ცნობიერების ზედაპირს აღწევენ.

ასე რომ, არაცნობიერ პროცესებს პირდაპირ ვერ დავაკვირდებით. მათი ის პროდუქტები კი, რომელნიც ცნობიერების ზღურბლს გადალახავენ, ორ კატეგორიად შეგვიძლია დავყოთ. პირველი კატეგორია იმ მასალას მოიცავს, რომელიც შეიცნობა, როგორც უეჭველად პიროვნული წარმოშობისა. ეს შინაარსებია პიროვნული მონაპოვრები ანდა ინსტინქტურ მოვლენათა პროდუქტები, რომლებიც მთლიანი პიროვნების საკუთრებაა. შემდგომ, აქვე შედის დავიწყებული თუ განდევნილი, ასევე შემოქმედებითი შინაარსები. ყოველივე ამაში განსაკუთრებული და საოცარი არაფერია. ზოგს შეიძლება ისენი გაცნობიერებული ჰქონდეს, სხვებთან კი არაცნობიერშია ჩაძირული. ზოგმა ისეთი რამ იცის, რაც სხვებისთვის უცნობია. შინაარსთან ამ კატეგორიას მე ქვეცნობიერ ფსიქიკას ანუ პიროვნულ არაცნობიერს ვუწოდებ, რადგანაც ის, რამდენადაც შეგვიძლია განვსაჯოთ, მხოლოდ და მხოლოდ პიროვნული ელემენტებისგან უნდა იყოს შედგენილი, ელემენტებისგან, რომლებიც მთლიანობაში ადამიანის პიროვნებას (Persoenlichkeit) ქმნიან.

შემდგომ, არსებობს აშკარად გაურკვეველი წარმომავლობის შინაარსები, ყოველ შემთხვევაში, ისეთი წარმოშობისა, პიროვნულ მონაპოვრად რომ ვერ ჩაითვლება. ამ შინაარსებს ერთი თვალშისაცემი თავისებურება აქვთ – მითოლოგიური ხასიათისანი

არიან. მათ შემყურეს ისეთი შთაბეჭდილება გვრჩება, თითქოს ისინი ცალკეული პიროვნების კი არა, მთელი კაცობრიობის კუთვნილებას წარმოადგენენ. როდესაც პირველად წავაწყდი ამგვარ შინაარსებს, გუნებაში ვიფიქრე, მემკვიდრეობითობას ხომ არ ეფუძნებიან-მეთქი, და აზრად მომივიდა, რომ მათი ახსნა ნაციონალური ან რასობრივი მემკვიდრეობით იქნებოდა შესაძლებელი. ამ საკითხის ნათელსაყოფად ამერიკაში გავემგზავრე, წმინდა სისხლის ზანგთა სიზმრები შევისწავლე და დავადგინე, რომ ეს ხატები არც ე. წ. სისხლით ანდა რასობრივ მემკვიდრეობასთანაა რამე კავშირში და არც ცალკეულ ადამიანთა პიროვნული მონაპოვარია. ისინი მთელი კაცობრიობის კუთვნილებაა და ამიტომ კოლექტიური ბუნება აქვთ.

ამ ძირითადად კოლექტიურ ნიმუშებს, ავგუსტინესეული გამოთქმის მიხედვით, არქეტიპები ვუწოდე. არქეტიპი წარმოადგენს typo-ს (გამოკვეთილს რასმე), არქაული ხასიათის მკაცრად შემოსაზღვრულ სტრუქტურას, რომელიც როგორც ფორმით, ისე მნიშვნელობით მითოლოგიური მოტივების შემცველია. მითოლოგიური მოტივები წმინდა სახით ზღაპრებში, მითებში, ლეგენდებსა და ფოლკლორში გვხვდება. ყველაზე ცნობილ მოტივთაგან შეგვიძლია დავასახელოთ: გმირი, მხსნელი, დრაკონი (რომელიც ყოველთვის დაკავშირებულია მის მძლეველ გმირთან), გველეშაპი ანდა დევი, რომელიც გმირს ნთქავს. გმირისა და დრაკონის სახეცვლილი ვარიანტია კატაბაზისი, ჯოჯოხეთში ჩასვლა, ნეკიია (ალბათ გეხსომებათ „ოდისეა“-დან ის ადგილი, როცა ოდისევსი ადინფეროს ჩადის, რათა ტირეზია, ნათელმხილველი, გამოჰკითხოს). ნეკიიას ეს მოტივი ანტიკურ სამყაროში და ფაქტიურად მთელ მსოფლიოში ყოველ ნაბიჯზე გვხვდება. ის არაცნობიერი ფსიქიკის ღრმა ფენების ცნობიერების ინტროვერსიის ფსიქოლოგიურ მოვლენას გამოხატავს. ამ ფენებიდან უპიროვნო, მითოლოგიური ხასიათის შინაარსები ამოდიან, ანუ, სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, არქეტიპები, და ამიტომაც ვუწოდებ მე მათ უპიროვნო ანუ კოლექტიურ არაცნობიერს.

ცხადია, აქ კოლექტიური არაცნობიერის ამ ცალკე პრობლემის მხოლოდ კონტურებს თუ მოვხაზავთ, ისიც გაკვრით. მაგრამ მოგიყვანთ მაგალითს კოლექტიური არაცნობიერის სიმბოლიკისა და მასთან ჩემი მიდგომის თავისებურებათა შესახებ, რათა შეძლოთ მისი განსხვავება პიროვნული არაცნობიერისაგან. ამერიკაში რომ მივდიოდი ზანგების არაცნობიერის საკვლევად, თავში ეს კითხვა მიტრიალებდა: ძირითადი კოლექტიური ნიმუშები რასობრივი მემკვიდრეობაა თუ „წარმოსახვის აპრიორული კატეგორიები“-მეთქი, როგორც მათ ორმა ფრანგმა, იუბერმა და მოსმა, ჩემი გამოკვლევებისაგან დამოუკიდებლად უწოდა. და აი, იქ ერთი ზანგი მიყვება სიზმარს, რომელშიც ბორბალზე გაკრული კაცი ფიგურირებს. მთელ სიზმარს არ მოგიყვებით – არაა ამჟამად ამის აუცილებლობა. მას, რაღა თქმა უნდა, პიროვნული მნიშვნელობაც ჰქონდა და უპიროვნო წარმოდგენების დაღიც აჩნდა, მაგრამ ამჯერად მხოლოდ ამ უკანასკნელ მოტივს გამოვყოფ. ძალზე უმეცარი სამხრეთელი ზანგი გახლდათ. არც ინტელექტით გამოირჩეოდა და არც არაფერი. ზანგთა განთქმულ რელიგიურ ხასიათს თუ გავითვალისწინებთ, ჯვარზე გაკრული კაცი რომ დასიზმრებოდა, კიდევ ჰო, მოულოდნელი არ იქნებოდა, ჯვარს პიროვნული გამოცდილების მონაპოვრად ჩავთვლიდით, მაგრამ ბორბალზე გაკრულს თუ იხილავდა, ვინ იფიქრებდა! ეს ძალზე უჩვეულო ხატებაა. რა თქმა უნდა, ვერ დაგიმტკიცებთ, რომ ამ ზანგს შემთხვევით ასეთი

სურათი არ ენახა ან რომ თავის დღეში მსგავსი არაფერი სმენოდა და ეს არ ჩაჰყვა ძილში. მაგრამ, თუკი მას ამ წარმოდგენის ნიმუში არ გააჩნდა, მაშინ საქმე არქეტიპულ ხატებასთან გვქონია – ბორბალზე გაკვრა ხომ მითოლოგიური მოტივია. ეს სწორედ ის, ძველთაძველი მზის ბორბალი და ჯვარცმა მზის ღმერთის გულის მოსალბობად შეწირული მსხვერპლი გახლდათ. ისევე, როგორც ადრე მიწის ნაყოფიერების გასაზრდელად ადამიანებსა და ცხოველებს სწირავდნენ ხოლმე. მზის ბორბალი განსაკუთრებით არქაული და, იქნებ, საერთოდ უძველესი რელიგიური წარმოდგენაც კია. როდეზიული ქანდაკებების შესწავლისას მისმა კვალმა მეზოლითურ და პალეოლითურ ხანამდეც კი შეიძლება მიგვიყვანოს. მაგრამ ნამდვილი ბორბლები მხოლოდ ბრინჯაოს ხანაში არსებობდა. პალეოლითში ბორბალი ჯერ კიდევ არ იყო გამოგონილი. ჩანს, როდეზიული მზის ბორბალი იმავე ეპოქიდანაა წარმომდგარი, რომელსაც ცხოველთა ზოგი ძალზე ნატირალისტური გამოსახულება განეკუთვნება, როგორიცაა, მაგალითად, განთქმული ტკიპებიანი მარტორქა, დაკვირვებულობის შედეგრი. ასე რომ როდეზიული მზის ბორბალი პირვანდელ ხილვას წარმოადგენს. ალბათ ის მზის არქეტიპული ხატებაა. მაგრამ ის არ არის ნატურალისტური ხასიათისა, რადგანაც ოთხ ან რვა სეგმენტადაა ხოლმე დაყოფილი (სურ. 3). დანაწევრებული წრის ხატება სიმბოლოა, რომელსაც კაცობრიობის მთელ ისტორიაში, ისევე ვაწყდებით, როგორც თანამედროვე ადამიანთა სიზმრებში. სრულიად შესაძლებელია, ნამდვილი ბორბლის გამოგონება ამ ხილვას ემყარებოდეს. მრავალი ჩვენი აღმოჩენა მითოლოგიურ ანტიციპაციებსა და უძველეს წარმოდგენებს ეფუძნება. ასე, მაგალითად, ალქიმიის ხელოვნება თანამედროვე ქიმიის დედაა. ჩვენი ცნობიერი, მეცნიერული სული არაცნობიერში ყალიბდება.



სურ. 3: მზის ბორბალი

იმ ზანგის სიზმარში ბორბალზე გაკრული კაცი გამეორებაა ბერძნული მითოლოგიური მოტივისა იქსიონის შესახებ, რომელიც ღმერთთა და კაცთა შეურაცხყოფისათვის ზევსმა მიერ მარად მბრუნავ ბორბალზე გააკრა. მითოლოგიური მოტივის ეს მაგალითი, უბრალოდ, იმისთვის მოგიყვანეთ, რომ კოლექტიური არაცნიბიერის იდეა გადმომეცა. ერთი ცალკე აღებული მაგალითი, ცხადია, ბევრს არაფერს ნიშნავს. მაგრამ ისიც ხომ შეუძლებელია დავუშვათ, რომ იმ ზანგს ბერძნული მითოლოგია ჰქონდა შესწავლილი და ძალიან საეჭვოა, რომ მას ოდესმე ბერძნული მითოლოგიური ფიგურების გამოსახულება ენახა. თანაც, სხვათაშორის, იქსიონის გამოსახულებები საკმაოდ იშვიათია.

შემეძლო ახლა საოცარი ერთმნიშვნელოვანი საბუთები მომეყვანა არაცნობიერში ასეთი ძირითადი მითოლოგიური ნიმუშების არსებობის თაობაზე. მაგრამ ამისთვის სულ ცოტა

ორი კვირის განმავლობაში მაინც მომიწევდა ლექციების კითხვა. ჯერ სიზმრების და სიზმართა სერიების აზრი უნდა გადმომეცა და მერე მიმეთითებინა ყველა ისტორიულ პარალელსა და მათ მნიშვნელობაზე. ამ ხატებათა და წარმოდგენათა სიმბოლიკას ხომ სკოლებსა და უნივერსტეტებში არ ასწავლიან და სპეციალისტებსაც კი იშვიათად თუ გაეგებათ რამე ამის შესახებ. მე იძულებული ვიყავი წლების განმავლობაში მეკვლია ეს ხატებები და თავად მეძებნა მასალა, ასე რომ, რაც უნდა განათლებული უნდა იყოს ჩემი პუბლიკა, მაინც არ მოველი, რომ ამგვარი ჩახლართული ამბები au courant ეცოდინება. სიზმრის ანალიზის ტექნიკის ჯერი რომ მოვა, მაინც მომიხდება ამგვარ მითოლოგიურ მასალაზე შეჩერება და მაშინ წარმოდგენა შეგექმნებათ იმის შესახებ, თუ როგორ ტარდება პრაქტიკულად ეს მუშაობა – არაცნობიერის პროდუქტებისათვის პარალელთა მონახვა. ჯერჯერობით კი იძულებული ვარ, იმის აღნიშვნით დავკმაყოფილდე, რომ არაცნობიერის ეს ფენა ძირითადად მითოლოგიურ ნიმუშებს შეიცავს და ისეთ შინაარსებს წარმოშობს, რომელთაც ინდივიდუუმს ვერ მივაწერთ. ასე გასინჯეთ, ისინი შეიძლება ეწინააღმდეგებოდეს კიდეც სიზმრის მნახველის პიროვნულ ფსიქოლოგიას. ასე, მაგალითად, ჩვენდა განსაცვიფრებლად, სრულიად გაუნათლებელ პიროვნებასთან შეიძლება ისეთ სიზმარს გადავეყაროთ, რომელიც მას, მართლაც, არ უნდა დასიზმრებოდა, რადგან ყოვლად საკვირველ რამეებს შეიცავს. ბავშვების სიზმრებმა კი ზოგჯერ შეიძლება ისეთი თავსატეხი გაგვიჩინოს, რომ მერე გონზე მოსასვლელად შვებულების აღება დაგვჭირდეს – მათი სიმბოლოები იმდენად ღრმაზროვანია, რომ საშველს არ გვაძლევს კითხვა: კი მაგრამ, როგორ შეიძლება ბავშვს ასეთი რამ დასიზმრებოდა?

სინამდვილეში კი ეს სულ ადვილი ასახსნელია. ჩვენს სულს, ისევე როგორც სხეულს, თავისი ისტორია აქვს. ეს იმდენადვე არ არის საოცარი, რამდენადაც ის, რომ ადამიანს ბრმანაწლავი აქვს. განა მან იცის, რომ ასეთი რამ უნდა გააჩნდეს? არა, უბრალოდ, თან დაჰყვა. მილიონობით ადამიანმა არ იცის, რომ თიმუსის ჯირკვალი აქვს, მაგრამ ამით არაფერი იცვლება – მაინც ხომ აქვთ. მათ არ იციან, რომ თავიანთი ანატომიის გარკვეული ნაწილების მიხედვით ისინი თევზთა სახეობას განეკუთვნებიან, მაგრამ იციან თუ არა – ეს მაინც ასეა. ჩვენი არაცნობიერი, ასევე როგორც ჩვენი სხეული, წარსულის დანაშთთა და მოგონებათა სამყოფელია. არაცნობიერი კოლექტიური ფსიქიკის სტრუქტურის შესწავლა, ალბათ, ისეთივე აღმოჩენებს მოიტანდა, როგორსაც შედარებითი ანატომია. მისტიკური აქ არაფერია, მაგრამ რაკიღა კოლექტიურ არცნობიერს ვახსენებ, მეცნიერებისა და პროგრესის მტრად ვარ გამოცხადებული. კოლექტიურ არაცნობიერს მისტიკასთან რა კავშირი აქვს! ეს, უბრალოდ, მეცნიერების ახალი განშტოებაა. არაცნობიერი კოლექტიური პროცესების არსებობის აღიარება ნამდვილად მართებს საღ განსჯას – მართალია, ბავშვს ცნობიერება დაბადებიდანვე თან არ დაჰყვება, მაგრამ მისი შინაგანი სამყარო მაინც არაა ტაბული რასა. ბავშვი სავსებით განსაზღვრული ტვინით იბადება და ინგლისელი ბავშვის ტვინი ისე კი არ იმუშავებს, როგორც ავსტრალიელი აბორიგენისა, არამედ ისე, როგორც თანამედროვე ინგლისელისა. ტვინი მზა სტრუქტურითვე ჩნდება, თანამედროვე ყაიდაზე მუშაობს, მაგრამ თავისი ისტორია გააჩნია. ის მილიონობით წლის განმავლობაში ვითარდებოდა, იმ ისტორიას ასახავს, რომლის ნაყოფიც თვითონაა, და იმაზე ბუნებრივი რაა, რომ ის ისევე როგორც სხეული, თავის თავში ატარებდეს ამ განვითარების ნაკვალევს. ასე რომ, როდესაც

ადმიანის შინაგანი სტრუქტურის წიაღში ვიჭრებით, არ არის გასაკვირი, რომ არქაული სულის ნაშთებს მივაგნოთ.

კოლექტიური არაცნობიერის წარმოდგენა, მართლაც, მარტივია. ასე რომ არ ყოფილიყო, სასწაულზე იქნებოდა ახლა ლაპარაკი, მე კი აქ ზღაპრებს როდი ვყვები. მე მხოლოდ გამოცდილებას ვეყრდნობი. თქვენთვის რომ ეს გამოცდილება გამეზიარებინა, თქვენც ზუსტად იმავე დასკვნებს გამოიტანდით არქაული მოტივების შესახებ. მე როგორღაც შემთზვევით გამოვკარი ხელი მითოლოგიას და ამ სფეროში, შეიძლება, თქვენზე მეტი წიგნი მქონდეს წაკითხული, თორემ მითოლოგიით ყოველთვის კი არ ვიყავი გატაცებული. ერთ მშვენიერ დღეს, როცა ჯერ კიდევ კლინიკაში ვმუშაობდი, შიზოფრენიით დაავადებულ ერთ პაციენტს შევხვდი, რომელსაც უცნაური ხილვა ჰქონდა და მიყვებოდა. გინდა თუ არა, შენც უნდა დაგანახოო, ჩამაცივდა, მაგრამ მე ვერაფერს ვხედავდი. ვიფიქრე, ეს კაცი გიჟია, მე – ნორმალური და მისი ეს ხილვაა თუ რაღაცა, რაში უნდა მენაღვლებოდეს-მეთქი. მაგრამ მაინც მოსვენება დამეკარგა, საგონებელში ჩავვარდი, რას უნდა ნიშნავდეს-მეთქი ეს ხილვა. იმ დასკვნის მოშველიება, ეს კაცი შეშლილია-მეთქი, არ მაწყნარებდა. და აი, გამოხდა ხანი და წავაწყდი წიგნს, სადაც გერმანელ სწავლულ ა.დიტერიხტს რაღაც მაგიური პაპირუსის ნაწილები ჰქონდა გამოქვეყნებული. მე დიდი ინტერესით შევუდექი მის შესწავლას და მე-7 გვერდზე სიტყვასიტყვით არ აღმოვაჩინე ჩემი პაციენტის ხილვა?! ელდა მეცა. აი, თავსატეხი: რანაირად გაუჩნდა იმ კაცს ის ხილვა?! საქმე ერთ ხატებას კი არ ეხებოდა, არამედ ხატებათა მთელ წყებას სიტყვიერი დამთხვევითურთ. აღარ მინდა დეტალებს შევყვე, რადგან ეს ძალზე შორს წაგვიყვანს. ისე კი, ძალიან საინტერესო შემთხვევაა, სხვათა შორის, გამოქვეყნებულიც მაქვს.

ამ საოცარმა პარალელმა მეტად ამაფორიაქა. თქვენ ალბათ არ გექნებათ წაკითხული სწავლულ პროფესორ დიტერიხის წიგნი. რომ წაგეკითხათ და თქვენი თვალით გენახათ ასეთი შემთხვევები, თქვენც მიხვიდოდით კოლექტიური არაცნობიერის წარმოდგენამდე.

უღრმესი ფენა, რომელზედაც არაცნობიერის კვლევისას ხელი მიგვიწვდება, ისაა, სადაც ადამიანი ცალკეული, შეზღუდული არსება კი აღარაა, არამედ განივრცობა და კაცობრიობის არსს ერწყმის – ცნობიერებით კი არა, თავისი არაცნობიერით, ე. ი. იმით, რაც ჩვენთვის ყველასათვის საერთოა. ისევე, როგორც ყველას, პრინციპში, ერთნაირი სხეული გვაქვს – ორი თვალი, ორი ყური, ერთი გული და ა. შ. მცირედი ინდივიდუალური განსხვავებებით, შინაგანადაც სწორედ ასეთივე პრინციპულ იგივეობას აქვს ადგილი. კოლექტიურ სფეროში ცალკეული, ინდივიდუალური არსებები კი არა, ყველანი ერთი ვართ. ამის გაგება კიდევ უკეთ შეიძლება, თუ პრიმიტივთა ფსიქოლოგიას მოვიშველიებთ. პრიმიტიული მსოფლმხედველობით უმნიშვნელოვანესი დამახასიათებელი ნიშანია ინდივიდთაშორისი განურჩევლობა, სუბიექტისა და ობიექტის ერთიანობა, participation mystique, როგორც მას ლევი-ბრიული უწოდებს. პრიმიტიულ მსოფლმხედველობაში აისახება ადამიანის სულის საფუძვლად მდებარე სტრუქტურა, ე. ი. ის ფსიქოლოგიური შრე, რომელსაც ჩვენთვის კოლექტიური არაცნობიერი წარმოადგენს, საძირკველი, რომელიც ყველა ადამიანში ერთი და იგივეა. ვინაიდან ეს ძირეული სტრუქტურა ყოველ ჩვენგანში მოქმედებს, ამიტომ შეუძლებელია ამ სფეროში ერთმანეთისაგან განვსხვავდებოდეთ. ვინ უწყის, შენს თავს ხდება აქ რამე, თუ ჩემს თავს.

ყოველგვარი ცნობიერების საყრდენ ამ კოლექტიურ სფეროში ყველა ჩვენგანის ცხოვრება ერთად ისეთ მთლიანობას შეადგენს, რომლის დანაწევრებაც შეუძლებელია. კაცი რომ დაუფიქრდეს, თუ რაზე მეტყველებს პარტიციპაციის ფაქტი, რომ არსებითად ჩვენ ყველანი ყველასთან და ყველაფერთან იდენტურნი ვართ, განსაცვიფრებელ თეორიულ დასკვნამდე შეიძლება მივიდეს. მაგრამ ზედმეტად შორს ნუ შევტოპავთ, თორემ ვაი, ჩვენი ბრალი! თუმცა ზოგიერთი ამ დასკვნათაგან უფრო დაწვრილებით რომ განგვეხილა, არ გვაწყენდა, – ვინძლო შუქი მოჰფენოდა ზოგ საოცრებას, რაც ადმიანებს გადახდებათ ხოლმე.

ნება მიბოძეთ, თავი მოვუყარო ყოველივეს, რაც ითქვა. აი, დიაგრამა მაქვს წამოღებული (სურ. 4). ცოტა რთული კი ჩანს, მაგრამ სინამდვილეში სულ მარტივია. წარმოიდგინეთ, რომ ჩვენი სულიერ-მშვინვიერი სამყარო განათებული ბირთვია. ზედაპირი, საიდანაც სინათლე აირეკლება, ის ფუნქციაა, რომლის მეშვეობითაც ძირითადად ხორციელდება შეგუება. ისეთი ადამიანის შემთხვევაში, რომელიც უმთავრესად აზროვნების საშუალებით ახდენს შეგუებას, უპირველეს ყოვლისა, მოაზროვნე ადამიანის სურათი წარმოგვიდგება თვალწინ. ის ყველაფერს გონებით აღიქვამს და სწორედ აზროვნებაა ის, რითაც მას თავი მოაქვს და რისი იმედიც აქვს, რომ სხვების წინაშე არ შეარცხვენს. იგივე შეიძლება ითქვას, როცა რომელიმე სხვა ფუნქციაა წამყვანი.



სურ. 4: სულიერ-მშვინვიერ სფეროს დიაგრამა

დიაგრამაზე პერიფერიულ ფუნქციად შეგრძნებაა წარმოდგენილი. ის გარე სამყაროს ობიექტთა შესახებ გვაწვდის ინფორმაციას. მეორე წრეში, აზროვნებაში, ითვისებს იმას, რაც მას შეგრძნებებმა გადასცეს; აქ ნივთების სახელდება და დახასიათება ხდება. შემდეგ გრძნობის ჯერი მოდის; გრძნობით ღირებულება თან ახლავს ყოველგვარ ჭვრეტას; დაბოლოს, წარმოიშვება ხოლმე ერთგვარი ცოდნა იმის შესახებ, თუ საიდან გაჩნდა რაღაც, საით მიემართება და რა შეუძლია მოიმოქმედოს. ეს ინტუიციაა, რომლის მეოხებითაც ადამიანი საკუთარი თვალსაწიერის მიღმა ხედავს. ეს ოთხი ფუნქცია შეადგენს

ექსტოფსიქიკურ სისტემას.

დიაგრამის შემდეგი ნაწილი გამოსახავს ცნობიერ „მე“ კომპლექსს, რომელსაც ეს ფუნქციები უკავშირდება. ენდოფსიქიკურ სისტემაში, პირველ რიგში, გამოვყოფთ მეხსიერებას, ნებელობისადმი დაქვემდებარებულ ფუნქციას. ის „მე“ კომპლექსის ზედამხედველობის ქვეშაა. შემდეგ მოდის ფუნქციათა სუბიექტური კომპონენტები. თუმცა ნებელობა მათთან ბევრს ვერაფერს გახდება, მაგრამ გარკვეულ ფარგლებში მაინც შეუძლია მათი ჩახშობა, გამოთიშვა თუ გაძლიერება. ამ კომპონენტთა მეთვალყურეობა ასე იოლი აღარაა, როგორც მეხსიერებისა, თუმცა, მოგეხსენებათ, არც თვით მეხსიერებაა მთლად „წმინდა წყლისა“. შემდეგ აფექტებსა და შეჭრებს მივადგებით, რომელთა დამორჩილება მხოლოდ იძულებითი ხერხებით თუ შეიძლება. ერთადერთი – შეგიძლია არ გამოამჟღავნო, თორემ მეტს ვერაფერს უზამ. მუშტები უნდა შეკრა, რომ არ აფეთქდე, რადგან ეს ძალები, ადვილი შესაძლებელია, „მე“ კომპლექსზე უფრო ძლიერები აღმოჩნდნენ.

რასაკვირველია, ფსიქიკური სისტემა ასეთი დიაგრამის მეშვეობით სრულიად არ გამოისახება. ეს სურათი უფრო შეფასების სკალაა, რომელიც გვიჩვენებს, თუ როგორ კლებულობს თანდათანობით ენერგია ანუ ინტენსივობა „მე“ კომპლექსისა (რომელსაც ნებელობა წარმომადგენლობს), რამდენადაც იმ ბნელ რეგიონს ვუახლოვდებით, მთელ ამ სტრუქტურას ქვაკუთხედად რომ დასდებია – არაცნობიერს. აქ, პირველ რიგში, ვარჩევთ პიროვნულ არაცნობიერს. ფსიქიკის ეს ნაწილი ყოველივე იმას შეიცავს, რაც იგივე წარმატებით ცნობიერიც შეიძლება ყოფილიყო. მოგეხსენებათ, არაცნობიერს ბევრ რამეს ვუწოდებთ, მაგრამ ეს მხოლოდ შედარებით. ამ სფეროში არაფერია ისეთი, რაც აუცილებლად ყველასათვის არაცნობიერი უნდა იყოს. არსებობს ხალხი, რომლისთვისაც თითქმის ყველაფერი ცნობიერია, რისი გაცნობიერებაც კი შესაძლებელია საერთოდ ადამიანისთვის. რასაკვირველია, ჩვენს ცივილიზაციაში არაჩვეულებრივად ბევრი რამაა არაცნობიერი, მაგრამ სხვა ხალხს თუ ეწვევით, ვთქვათ, ინდოეთს ანდა ჩინეთს, დაადგენთ რომ იქაურებისათვის ისეთი რაღაცეებია ცნობიერი, რომელთა გამოსაქექად ჩვენი ფსიქოანალიტიკოსები თვეობით წვალობენ ხოლმე. მერე კიდევ, ბუნებრივ პირობებში მცხოვრებმა უბრალო ადამიანებმა რაღაც სასწაულით შეიძლება ისეთი რაღაცეების ცოდნა გამოამჟღავნონ, ქალაქელს რომ არც დაესიზმრება, და თუ დაესიზმრა, ისიც – ანალიზის გავლენით. ეს ჯერ კიდევ სკოლაში დავადგინე. ყრმობის წლები სოფელში მაქვს გატარებული, გლეხებსა და პირუტყვთა შორის და მე აუარებელი ისეთი რამ ვიცოდი, სხვა ბიჭები აზრზე რომ არ იყვნენ და მქონდა ბედნიერება, ყალბი წარმოდგენებისაგან თავისუფალი ვყოფილიყავი. ნევროტულ თუ ნორმალურ ადამიანთა სიზმრებს, სიმპტომებისა და ფანტაზიების ანალიზისას არაცნობიერში ვიჭრებით და შესაძლებლობა გვეძლევა ეს ხელოვნური ზღუდე გადავლახოთ. პიროვნული არაცნობიერი მეტად ფარდობითი რამაა. მისმა სფერომ შეიძლება რედუქცია განიცადოს და ბოლოს და ბოლოს ისე შემცირდეს, ნულს მიუახლოვდეს. სულაც არაა წარმოუდგენელი, ვინმემ თავისი ცნობიერება იმდენად განავითაროს, რომ შეეძლოს თქმა: Nihil humanum a me alienum puto.

დაბოლოს, მივაღწიეთ უკანასკნელ ბირთვს, რომელსაც საერთოდ ვერ გავაცნობიერებთ – არქეტიპთა საუფლოს. ის, რასაც, ალბათ, ეს სფერო მოიცავს, ხატებათა ფორმით იჩენს თავს, რომელთა გაგება მხოლოდ მაშინ შგვეძლება, თუკი ისტორიულ პარალელებს

მოვუძებნით მათ. ზოგი ამ ამოტივტივებულ მასალათაგანი ისტორიულად თუ არ ვცანით და პარალელები თუ არ დავინახეთ, ამ შინაარსთა ცნობიერებასთან შეკავშირება შეუძლებელი იქნება, ისე რომ, პროეცირებული დარჩებიან. კოლექტიური არაცნობიერის შინაარსები ნებელობის მიერ არ იმართებიან და საერთოდაც არ ექვემდებარებიან მას და ისეთი შთაბეჭდილება გვექმნება, თითქოს ჩვენთვის უცხო იყოს ასეთი რამ – სხვაზე ვამჩნევთ, საკუთარ თავზე – ვერა. როცა კოლექტიური არაცნობიერის შინაარსები აქტიურდება, სხვებში რაღაც-რაღაცებს შევნიშნავთ ხოლმე. მაგალითად, დარწმუნებულნი ვართ, რომ ბოროტი აბისინიელები თვს ესხმიან იტალიას. მაგრამ ხომ გახსოვთ ანატოლ ფრანცის ცნობილი მოთხრობა: ორი გლეხი დიდი ხნის განმავლობაში სამკვდრო-სასიცოცხლოდ იყო გადაკიდებული. ვიღაც დაინტერესდა მათი შუღლის მიზეზით და ერთს ჰკითხა, კი მაგრამ, რატომ გძულს შენი მეზობელი, აგრე რას ერჩიო. მან კი მიუგო. ”Mais il est de l’autre cote de la reviere!“ სწორედ ასევე მტრობენ ერთი მეორეს საფრანგეთი და გერმანია. ჩვენ, შვეიცარელებს, საბედნიეროდ, მსოფლიო ომის დროს შესაძლებლობა გვქონდა, გაზეთები გვეკითხა და ამ საკვირველ მექანიზმს დავკვირვებოდით, კაცს დიდ ქვემეხებად რომ წარმოუდგებოდა, რომლიდანაც რაინის ერთი ნაპირიდან ისროდნენ და მეორე ნაპირიდანაც ზუსტად იგივეს იმეორებდნენ. ამასთან, ცხადზე უცხადესი ხდებოდა, რომ ეს ადამიანები მეზობლებში ამჩნევდნენ ყველაფერ იმას, რასაც საკუთარ მაგალითზე ვერა და ვერ ხვდებოდნენ.

უზოგადესად შეიძლება ითქვას, რომ ამას კოლექტიურ სიგიჟემდე მივყავართ, სულიერ-მშვინვიერ ეპიდემიამდე, რომელმაც შეიძლება რევოლუცია, ომი ანდა რაღაც ამდაგვარი გამოიწვიოს, თუკი მოზრდილ სოციალურ ჯგუფებში იჩინა თავი კოლექტიური არაცნობიერის ვითარებამ. ასეთი მოძრაობები წუთში მოედება მთელ ქვეყანას, თითქმის მოძალადოებრივად გადამდებია ისინი – კოლექტიური არაცნობიერი თუ გააქტიურდა, კაცი საკუთარ თავს აღარ ეკუთვნის. ის არამარტო მონაწილეობს ამ მოძრაობაში, არამედ თავად არის ეს მოძრაობა. გერმანიაში რომ იცხოვროთ ანდა, თუ ნდაც მცირე ხანი დაჰყოთ იქ, როგორც წესი, წინააღმდეგობის გაწევის მცდელობა ფუჭად ჩაგივლით – ძვალსა და რბილში გაგიჯდებათ იქაური ამბები. რაც არ უნდა იყოს, მაინც კაცი ხარ და, სადაც არ უნდა ცხოვრობდე, თვითდამკვიდრებას მხოლოდ იმით შეიძლება მიაღწიო, რომ ცნობიერება შეზღუდო და რაც შეიძლება გამოცარიელდე, მშვინვიერად გამოიფიტო. მაგრამ ამ გზით სამშვინველს დაკარგავ – რაღა დარჩება შენგან: ცნობიერების პატარა მარცვალი, ცხოვრების ზღვაზე რომ ტივტივებს და მასში არავითარ მონაწილეობას არ იღებს. ხოლო თუ იმადვე გინდა დარჩე, რაც ხარ, მაშინ კოლექტიურ ატმოსფეროს ვერსად გაექცევი. შეუძლებელია აფრიკაში ან რომელიმე სხვა მსგავს მხარეში იცხოვრო და ეს მხარე ძვალსა და რბილში არ გაგიჯდეს. ყვითელ კანიანებთან თუ ცხოვრობ, კანქვეშ გაყვითლდები – ეს არ აგცდება, რადგანაც სადღაც შენც ისეთი ხარ, როგორიც ზანგია თუ ჩინელი, ანდა ვინც უნდა იყოს, ვისთან ერთადაც ცხოვრობ. ისეთივე ხარ, როგორც ყველა სხვაა – ადამიანური. კოლექტიური არაცნობიერის მიხედვით სხვა რასების წარმომადგენლებისგან არ განსხვავდები. იგივე არქეტიპები გაქვს, რაც მათ, ისევე, როგორც თვალები, გული და სხვ. გაქვს იგივენაირი. მერე და რა, რომ მათი კანი შავია. თუმცა გარკვეული მნიშვნელობა ამასაც აქვს – ერთი ისტორიული ფენა მათ ალბათ ჩვენზე უფრო ნაკლები ექნებათ. თუ ერები ერთმანეთისაგან სულიერი შრეებით

განსხვავდებიან, ეს მათი განვითარების ისტორიას შეესატყვისება.

ვინც ჩემსავით შეისწავლის რასებსა და ხალხებს, ბევრ რასმე ძალზე საინტერესოს შეიძლება გადააწყდეს. მაგალითად, ჩრდილო ამერიკელებს თუ შევისწავლით, შეგვიძლია დავრწმუნდეთ, რომ ამერიკელი თავის თავში ინდიელს ატარებს – ის ხომ დაპყრობილ მიწაზე ცხოვრობს. ინდიელი (მთელი თავისი დღე და მოსწრება ერთი მათგანისათვისაც რომ არ მოეკრას თვალი) და ზანგი (მიუხედავად იმისა, რომ მას დევნიან და ტრამვაი თეთრებისთვისაა განკუთვნილი) ამერიკელს სისხლში და ხორცში აქვს გამჯდარი, და იგრძნობა, რომ ის ნაწილობრივ ფერადკანიან ნაციას განეკუთვნება. ასეთი რაღაცები სრულიად არაცნობიერად ხდება და ამაზე ლაპარაკი მხოლოდ ძალზე თავისუფლად მოაზროვნე ადამიანებთან შეიძლება. ეს ისევე ძნელია, როგორც ის, გერმანელს ან ფრანგს რომ ესაუბრო იმაზე, თუ რატომ ექიშპებიან ასე ერთმანეთს.

ამ ცოტა ხნის წინ პარიზში შესანიშნავი საღამო გავატარე. ძალზე განათლებულ ხალხთან ვიყავი მიწვეული, საამოდ ვბაასობდით. მათ მკითხეს ჩემი აზრი ეროვნულ განსხვავებათა შესახებ. ერთი კი ვიფიქრე, გამიჭირდება ამის ახსნა-მეთქი და ასე მივუგე: რაც თქვენში დიდად ფასობს, ესაა la clarte latine, la clarte de l'esprit latin და ეს იმიტომ, რომ თქვენი აზროვნება არასრულფასოვანია, ლათინური ქვეყნის მოაზროვნე გერმანელთან შედარებით მოიკოჭლებს-მეთქი. მათ ყური ცქვიტეს, მე კი განვაგრძე: „სამაგიეროდ, თქვენს გრძნობას ბადალი არ მოეპოვება, ის აბსოლუტურად დიფერენცირებულია". ეგ როგორო, მკითხეს. მე მივუგე: „წადით რომელიმე კაფეში ან კაბარეში, ან სადმე, სადაც შანსონიებს და სკეტჩებს დგამენ, და პირდაპირ სასწაულის მომსწრე გახდებით. ჯერ აუარებელ გროტესკულ და ცინიკურ რაღაცეებს ნახავთ და გაიგონებთ, რასაც უეცრად რაღაც სენტიმენტალური მოჰყვება – დედა ბავშვს კარგავს, სიყვარული უბედურად მთავრდება, რაღაც საოცრად პატრიორული იჩენს საიდანღაც თავს და... ხალხი ტირის. თქვენ შაქრისა და მარილის შეზავება გიყვართ. გერმანელს კი შეუძლია მთელი საღამო მარტო შაქარზე გაძლოს. ფრანგს შიგ ცოტაოდენი მარილიც უნდა, რომ ერიოს. ვინმეს რომ ეცნობით, ხომ ეუბნებით: "Enchante de faire votre connaissance". სულაც არა ხართ enchante de faire sa connaissance. გუნებაში ფიქრობთ: „ეშმაკსაც წაუღიხარ!" მაგრამ ეს შეუსაბამობა არც თქვენ გაწუხებთ დიდად და არც იმას, ვისაც ეცნობით. მაგრამ გერმანელს ნურასოდეს ეტყვით, nchante de faire votre connaissance-ო, თორემ ის მართლა დაგიჯერებთ. გერმანელი წყვილ წვივსაკრავს რომ მოგყიდით, მარტო იმას კი არ ელის, რომ ფასს გადაუხდით – რაც ბუნებრივი იქნებოდა – არამედ მოელის, რომ თქვენ იგი ამისათვის გეყვარებათ".

გერმანელები იმით შეიძლება დავახასიათოდ, რომ მათი გრძნობითი ფუნქცია არასრულფასოვანი ე. ი. არადიფერენცირებულია. მაგრამ ეს რომ გერმანელს უთხრათ, ეწყინება. მეც მეწყინებოდა. მისთვის სანუკვარია ის, რასაც თვითონ საამო ფამილიარობას ეძახის: კვამლით გავსებული ოთახი, ყველას ყველა უყვარს – ამ სიამოვნების ჩაშხამება როგორ იქნება! აბსოლუტური ერთმნიშვნელობა უნდა იყოს გამეფებული, არსებობდეს ერთი, მიღებული ტონი და არავითარი სხვა. ეს გახლავთ la clarte germanique du sentiment და ის არასრულფასოვანია. თავის მხრივ, ფრანგი სასტიკად გაგინაწყენდებათ, რამე პარადოქსული რომ აკადროთ – მისთვის ხომ ის გაუგებარი იქნება. ერთ ინგლისელ ფილოსოფოსს უთქვამს, აღმატებული გონი არასოდეს არის სავსებით დაწმენდილიო. ეს

მართალია და დახვეწილი გრძნობაც, ასევე, მთლად მარტივი არასოდესაა. გრძნობას მართლა მხოლოდ მაშინ ვატანთ გემოს, როცა იგი ცოტა საჭოჭმანოცაა, ხოლო აზრი, რომელიც ერთ ფარულ წინააღმდეგობასაც არ შეიცავს, დამარწმუნებელი არ არის.

ამიერიდან ჩვენი ძირითადი თემა შემდეგი საკითხი იქნება: როგორ შეგვიძლია მივუდგეთ ადამიანის ბნელით მოცულ მხარეს? როგორც უკვე ვახსენეთ ადრე, ამისათვის სამგვარი ანალიზური მეთოდი არსებობს: ასოციაციის ექსპერიმენტი, სიზმრის ანალიზი და აქტიური წარმოსახვა. ჯერ მინდა მცირეოდენი რამ ასოციაციის ექსპერიმენტის შესახებ მოგითხროთ. მრავალ თქვენგანს ეს იქნებ მოძველებურადაც კი ეჩვენოს, მაგრამ რამდენადაც ასოციაციის ექსპერიმენტი ჯერაც ტარდება, ვალდებული ვარ განვიხილო. მე თვითონ მას პაციენტებთან არ ვიყენებ, სამაგიეროდ, კრიმინალურ შემთხვევებში – კი.

ექსპერიმენტისათვის საჭიროა (მე იმას ვიმეორებ, რაც თქვენც მშვენივრად მოგეხსენებათ) სია, შემდგარი, დავუაშვათ ასი სიტყვისგან. ცდის პირს სთხოვენ, რაც შეიძლება სწრაფად თქვას პირველივე სიტყვა, რომელიც თავში მოუვა, როგორც კი სიტყვა-გამღიზიანებელს გაიგონებს და გაიგებს. როდესაც დავრწმუნდებით, რომ ცდის პირმა ზუსტად გაიგო, რაც მოეთხოვება, შეგვიძლია საქმეს შევუდგეთ. რეაქციის დრო წამზომით აღირიცხება. ასი სიტყვა რომ ჩათავდება, შემდეგი ნაბიჯის ჯერი დგება: სიტყვა-გამღიზიანებლებს ვიმეორებთ და ცდის პირმა თავისი ადრინდელი პასუხები უნდა გაიმეოროს. ზოგჯერ მეხსიერება ღალატობს და მტკიცედ ვერ იმეორებს ან პასუხი მცდარია. ასეთი შეცდომები მნიშვნელოვანია.

ეს ექსპერიმენტი თავდაპირველად სულ სხვა მიზნებისთვის იქნა დაინერგა. მისი საშუალებით იდეათა ასოციაციები უნდა შეესწავლათ. რა თქმა უნდა, ეს წმინდა წყლის უტოპია იყო. ამგვარი პრიმიტიული საშუალებები ასეთი რამის საკვლევად რას გამოდგება. სამაგიეროდ, სხვა რამის შესწავლაში შეგვიძლია გამოვიყენოთ, და თანაც სწორედ მაშინ, როცა ექსპერიმენტი „გვიმტყუნებს“. ე. ი. როდესაც ცდის პირები შეცდომებს უშვებენ. ასე, მაგალითად, მიაწვდი სულ უბრალო სიტყვას, რომელზედაც ბავშვსაც არ გაუჭირდება პასუხის გაცემა, მაღალინტელექტუალური პიროვნება კი ვერ პასუხობს. რატომ? ეს სიტყვა შეეხო იმას, რასაც მე კომპლექსს ვუწოდებ – ფსიქიკური შინაარსების გროვას, რომლებიც უჩვეულო, უფრო, ალბათ, მტანჯველი გრძნობითი ღირებულებითაა დატვირთული, რაღაც ისეთით, რაც ნორმალურ პირობებში თვალს მოფარებულია. თითქოს პიროვნების სქელი ფენა საარტილერიო ყუმბარამ ბნელ შრემდე შეანგრიაო, ისე მოხვდება გულზე, ვისაც, ვთქვათ, ფულის კომპლექსი აქვს, სიტყვები: „ყიდვა“, „გადახდა“ ან „ფული“. რეაქციები აქ დარღვეული იქნება.

ასეთი დარღვევების თორმეტი თუ მეტი სახე არსებობს და ზოგიერთ მათგანს გაგაცნობთ, რათა მათი პრაქტიკული მნიშვნელობის შესახებ წარმოდგენა შეგექმნათ. ჯერ ერთი, რეაქციის დროის გაზრდას აქვს უდიდესი პრაქტიკული მნიშვნელობა. იმის დასადგენათ, თუ რომელ სიტყვა-გამღიზიანებლებზე იყო რექციის დრო მეტისმეტად დიდი, თითოეული ცდის პირის რეაქციის საშუალო დონეს ანგარიშობენ. სხვა დამახასიათებელი დარღვევებია: ერთზე მეტ სიტყვიანი რეაქციები (მიუხედავად ინსტრუქციისა); შეცდომები პასუხების განმეორებისასა; რეაქციები შეცვლილი სახის გამომეტყველებით, სიცილით, სხეულის მოძრაობით, ხელ-ფეხის ქნევით, ხველებით, ენის დაბმით და სხვა ამდაგვარით; არადამაკმაყოფილებელი რექციები, როგორიცაა: „კი“ ან

„არა“; რეაქციები, რომლებიც სიტყვა-გამღიზიანებლის ჭეშმარიტ აზრს გვერდს უვლიან; ერთი და იმავე პასუხის განმეორებითი ხმარება; უცხო ენების გამოყენება, რაც ინგლისში, რაღა თქმა უნდა, ისეთი არაფერია, მაგრამ ჩვენში შეიძლება დიდი უსიამოვნებაც მოჰყვეს; შეცდომა გამეორებისას – როცა მეხსიერება ღალატობს; არავითარი რეაქცია.

ყველა ეს რეაქცია უნებლიეა. თუ ვინმე დათანხმდა ცდის პირის მოვალეობათა შესრულებაზე, მთლიანად ექსპერიმენტატორის ხელში აღმოჩნდება, და თუ არ დათნხმდა – მაინც იგივეა, რადგან ცხადია, რატომაა, რომ თვალში არ მოსდის ეს ექსპერიმენტი. დამნაშავეს შეუძლია ექსპერიმენტის ჩატარებაზე უარი განაცხადოს, მაგრამ მისთვისვე უარესია – დღესავით ნათელი იქნება, რატომაც ჯიუტობს. დათანხმდება და – თვითონვე გაჰყოფს თავს ყულფში. ციურიხში მძიმე შემთხვევების დროს სასმართლო მიწვევს ხოლმე. აი, მაშინ კი უკანასკნელი ხავსის როლში გამოვდივარ.

ასოციაციის ექსპერიმენტის შედეგები მარტივ დიაგრამაზე შეიძლება წარმოვადგინოთ (სურ. 5.) სვეტების სიმაღლე ცდის პირის რეაქციის ეფექტურ დროს გამოხატავს. წყვეტილი ჰორიზონტალი რეაქციის საშუალო დროის მაჩვენებელია. გაუფერადებელი სვეტები ის რეაქციებია, რომლებიც დარღვევის ნიშნებს არ ამჟღავნებენ. გამუქებული სვეტები დარღვეულ რეაქციებს აღნიშნავენ. მაგ. მე-7, მე-8, მე-9 და მე-10 რეაქციებზე დარღვევათა მთელ სერიას ვაწყდებით: მე-7 სიტყვა-გამღიზიანებელი კრიტიკული იყო და ცდის პირს არც კი შეუმჩნევია, ისე გადიდდა შემდგომი სამი რეაქცის დრო, რადგანაც აქ ადგილი ჰქონდა სიტყვა-გამღიზიანებელზე მოცემული რეაქციის პერსევერაციას. ცდის პირს საერთდ არ გაუცნობიერებია, რომ აქ ემოცია ჰქონდა. მე-13 რეაქცია იზოლირებული დარღვევაა, მე-16 – 20-ზე კი კვლავ დარღვევათა მთელი სერია აღმოცენდა. უძლიერესი დარღვევები მე-18-სა და მე-19-ზეა. ამ განსაკუთრებულ შემთხვევაში საქმე გვაქვს ე. წ. სენსიბილობის (მგრძნობიარობის) გაძლიერებასთან, ე. ი. არაცნობიერი ემოციის მასენსიბილიზებელი გავლენის შედეგთან: თუ კრიტიკულმა სიტყვა-გამღიზიანებელმა პერსევერირებადი ემოციური რეაქცია გამოიწვია და შემდეგი კრიტიკული სიტყვა-გამღიზიანებელი შემთხვევით ამ პერსევერაციის სფეროში მოხვდა, სავარაუდოა, რომ ის უფრო ძლიერად იმოქმედებს, ვიდრე მაშინ, ინდიფერენტულ ასოციაციათა სერიაში რომ გამორეულიყო. ამას პერსევერირებადი ემოციის მასენსიბილიზებელ



გავლენას უწოდებენ.

სურ. 5: ასოციაციის ექსპერიმენტი

კრიმინალური შემთხვევების დროს მასენსიბილიზებელი მოქმედება შეიძლება შეგნებულად გამოვიყენოთ: კრიტიკული სიტყვა-გამღიზიანებლები ისე უნდა ჩავურთოთ ხოლმე, რომ როგორმე პერსევერაციის სავარაუდო სფეროში მოხვდნენ, რათა კრიტიკულ სიტყვა-გამღიზიანებელთა მოქმედება გაძლიერდეს. სასამართლო საქმის გარჩევისას ისეთი კრიტიკული სიტყვა-გამღიზიანებლები უნდა შევარჩიოთ, რომელიც პირდაპირ კავშირში იქნებიან მოცემულ დანაშაულთან.

სურ. 5-ზე: ცდის პირი ასე, 35 წლისა იქნებოდა, წესიერი კაცი, ერთ-ერთი ჩემი ნორმალური ცდის პირთაგანი. რასაკვირველია, მრავალ ნორმალურზე მომიხდა ექსპერიმენტის ჩატარება, სანამ პათოლოგიური მასალიდან დასკვნების გამოტანის შესაძლებლობა მომეცემოდა. თუ გსურთ გაიგოთ, რა აწუხებდა ამ კაცს, ამისათვის საჭიროა წაიკითხოთ, რა სიტყვებმა გამოიწვიეს დარღვევები, დააკავშიროთ ეს სიტყვები, და მთელი ეს ჰისტორია თქვენს ხელთ იქნება. ახლავე მოგიყვებით:

თავდაპირველად სიტყვა დანა იყო, ოთხი დარღვეული რეაქცია რომ გამოიწვია. შემდეგ ლახვარზე იყო დარღვევა, დარტყმაზე, წვეტიანზე და ბოთლზე. ყველა ისინი 50 სიტყვა-გამღიზიანებლისაგან შემდგარ მოკლე სერიაში გამოვლინდა, რაც საკმარისი აღმოჩნდა ჩემთვის, ამ კაცისთვის მაშინვე მეთქვა, რაშიც იყო საქმე. და აი, ვეუბნები: „მართალი გითხრათ, არ ვიცოდი, თუ ასეთი უსიამოვნება შეგემთხვათ“. ის მომაჩერდა და მომიგო, არ მესმის, რაზეა ლაპარაკიო. ნასვამი ყოფილხართ და ვიღაცისთვის სხეულში დანა გაგიყრიათ-მეთქი. საიდან იცითო, ერთი კი მკითხა და მერე მთელი ეს ამბავი აღიარა. კარგი ოჯახიშვილი გახლდათ, მისიანები უბრალო, მაგრამ რიგიანი ხალხი იყო.

საზღვარგარეთ წასულა, ერთხელაც დამთვრალა და ჩხუბი მოსვლია, ჰოდა თურმე დანა იძრო და ვიღაცა დაჭრა, რისთვისაც ერთი წლით ციხეში ჩასვეს. ამას სასტიკ საიდუმლოდ ინახავდა, სიტყვაც არავისთან დასცდეია, ეს ხომ მის ცხოვრებას ჩრდილს მიაყენებდა. ქალაქში, ახლობელთა შორის არავისთვის არაფერი გაუმხელია და მე კი აი, ასე შემთხვევით გამოვჩხრიკე ეს ამბავი.

ჩემს სემინარზე ციურიხში ასოციაციის ექსპერიმენტსაც ვატარებ ხოლმე. ვისაც „აღსარების თქმა“ სურს, რაღა თქმა უნდა, როგორ დავუშლი, მაგრამ სულ იმას ვითხოვ, ისეთი ხალხი მასალა მომიტანონ, რომელთაც ჩემი სტუდენტები იცნობენ, მე კი – არა, და ვუჩვენებ, თუ როგორაა შესაძლებელი ამა თუ იმ პირის წარსულის ამოკითხვა. ეს მართლაცდა საინტერესო სამუშაოა. ხანდახან ისეთი რამეები ირკვევა, თვალები შუბლზე აგივათ.

კიდევ რამდენიმე მაგალითს მოგიყვანთ. მრავალი წლის წინათ, როდესაც ჯერ კიდევ ახალგაზრდა ექიმი ვიყავი, კრიმინოლოგიის ერთმა მოხუცმა პროფესორმა ამ ექსპერიმენტის შესახებ გამომკითხა და განმიცხადა, მაგისი არაფერი მჯერაო. ასე მივმართე: „არა, ბატონო პროფესორო? იქნებ ერთხელ მაინც გამოგეცადათ?“ შინ მიმიპატიჟა, და საქმეს შევუდექით. 10 სიტყვის მერე დაიღალა და მითხრა: „აბა ამან რა უნდა მოგცეთ?! არაფერიც არ გამოდის!“ მე ვუთხარი, 10-12 სიტყვაში რას უნდა ელოდე, ასი რომ შესრულდება, მაშინ ვნახოთ-მეთქი. ამ ათი სიტყვით ვერას გააწყობთო? – მკითხა. მე მივუგე: „ფრიად მცირეს, მაგრამ რაღაც-რაღაცების თქმას მაინც შევძლებ. ცოტა ხნის წინათ შეწუხებული ყოფილხართ, რადგან ფული არ გყოფნით. შემდეგ... თურმე გეშინიათ, გულის ავადმყოფობით არ გარდაიცვალოთ. თქვენ, ალბათ, საფრანგეთში სწავლობდით და იქ რაღაც სასიყვარულო ამბავი გადაგხდენიათ, რომელიც ახლა ისევ გახსენდებათ, – სიკვდილზე ფიქრისას ხომ ძველმა, საყვარელმა მოგონებებმა იციან ხოლმე წარსულის წიაღიდან ამოტივტივება“. საიდან გაიგეთო, მკითხა. ამის მიხვედრას რა უნდოდა! იგი 72 წლისა გახლდათ და სიტყვა გულზე ასოციაცია ტკივილი ჰქონდა. აქედან – შიში, გულის შეტევით არ მომკვდარიყო. სიკვდილზე მისი ასოციაცია გარდაცვალება იყო – ბუნებრივი რეაქცია, ხოლო ფულზე კი – ძალიან ცოტა – ძალზე უჩვეულო რეაქცია. შემდეგ კი საქმე უჩვეულოდ წარიმართა. გადახდაზე რეაქციის დრო დიდი იყო. შემდეგ თქვა: La Semeuse, თუმცაღა ჩვენ გერმანულად ვსაუბრობდით. ეს ფრანგულ მონეტებზე გამოსახული ცნობილი ფიგურაა. ყველაფერი კარგი, მაგრამ ამ მოხუცს რაღა მაინცდამაინც La Semeuse მოაგონდა? სიტყვა კოცნაზე რეაქციის დრო დიდი ჰქონდა, შემდეგ კი თვალები გაუბრწყინდა და წარმოთქვა: „ლამაზი“. მაშინ კი ყველაფერი ნათელი გახდა. ფრანგულად ლაპარაკს არასდიდებით არ დაიწყებდა, ეს ენა რომ მისთვის რაღაც განსაკუთრებულ გრძნობასთან არ ყოფილიყო დაკავშირებული, მაგრამ რასთან – ეს გამოცანას წარმოადგენდა. იქნებ ზარალი ნახა ფრანგულ ფრანკთან დაკავშირებით? მაგრამ იმ დროს ინფლაციისა და დეფლაციის შესახებ არავინ ლაპარაკობდა. ასე რომ, ეს არაფერ შუაში იქნებოდა. მე ვყოყმანობდი, ვეღარ გამეგო, ფულში იყო საქმე თუ სიყვარულში, მაგრამ კოცნაზე რომ ლამაზი თქვა, მივხვდი, რომ სიყვარული იქნებოდა. ის იმის კაცი არ იყო, ამ სიბერეში რომ პარიზს წასულიყო, მაგრამ ადრე იურისპრუდენციას შეისწავლიდა პარიზში, მგონი, სორბონაში. მთელი ამ ამბის შეკავშირება არავითარ სიძნელეს არ წარმოადგენს.

ხანდახან ნამდვილ ტრაგედიებს ვაწყდებით. სურ. 6-ზე ასე, ოცდაათიოდე წლის ქალის შემთხვევაა წარმოდგენილი. ის კლინიკაში იმყოფებოდა, და დიაგნოზად დასმული ჰქონდა დეპრესიული შიზოფრენია. პროგნოზი, შესაბამისად, ცუდი იყო. ავადმყოფი ჩემს განყოფილებაში იწვა და იცით, საოცარი გრძნობა გამიჩნდა. ავისმომასწავებელ პროგნოზს ასე უბრალოდ ვერ შევურიგდებოდი, რადგან უკვე თავად შიზოფრენია ჩემთვის ფარდობითი რამაა. ჩემს თავს ვეუბნებოდი, მეტ-ნაკლებად ვინ არ ურევს-მეთქი, მაგრამ ეს ქალი რაღაც სხვანაირად ურევდა და ამიტომ დიაგნოზს წავუყრუე. იმ დროისათვის ჯერ კიდევ ფრიად მცირე რამ იყო ცნობილი. რაღა თქმა უნდა, ანამნეზი შევკრიბე, მაგრამ ისეთი ვერაფერი ვნახე, რაც მის ავად გახდომას ახსნიდა. ამიტომ ასოციაციის ექსპერიმენტი ჩავუტარე და უცნაური რამ



სურ. 6: ასოციაციის ექსპერიმენტი

გამოვლინდა. პირველი დარღვევა სიტყვა ანგელოზზე აღმოჩნდა, სიტყვაზე თავნება კი რეაქცია საერთოდ არ მოუცია. ამას მოჰყვა დარღვევები შემდეგ სიტყვებზე: ბოროტი, მდიდარი, ფული, სულელი, სიყვარული და ქორწინება. ეს ქალი კარგი თანამდებობის მქონე, შეძლებული კაცის მეუღლე გახლდათ, აშკარად კმაყოფილი იყო თავისი ცხოვრებით. დავკითხე, მაგრამ მანაც, ისევე როგორც ცოლმა, მხოლოდ იმის თქმა შეძლო, რომ დეპრესიამ მათი უფროსი შვილის, ოთხი წლის გოგონას გარდაცვალებიდან დაახლოებით ორი თვის შემდეგ იჩინა თავი. ავადმყოფობის მიზეზის შესახებ სხვა ვერაფერი გაირკვა. ასოციაციის ექსპერიმენტმა უაღრესად თავგზაამბნევი სერია გამოავლინა რეაქციებისა, რომელთაც ვერ ვაკავშირებდი. ასეთი ვითარება ხშირია, მეტადრე, თუ ჯერ არ ხარ გაწაფული. ასეთ შემთხვევებში უმჯობესია ცდის პირს ჯერ იმ რეაქციების შესახებ შევეკითხოთ, რომლებიც პირდაპირ მთავარს არ უმიზნებენ. თავიდანვე უძლიერეს დარღვევებზე თუ ვკითხეთ, ყალბ პასუხებს მივიღებთ. ამიტომ შედარებით უწყინარი სიტყვებით უნდა დავიწყოთ ხოლმე და მაშინ უფრო გულწრფელ პასუხებს მივიღებთ. ასე რომ, შევეკითხე: „რას იტყვით ანგელოზის შესახებ? თქვენთვის ეს სიტყვა რამეს ნიშნავს?“ მან მიპასუხა: „რაღა თქმა უნდა, ეს ჩემი შვილია, რომელიც დავკარგე“, – და ცრემლთა ნიაღვარი წასკდა. როდესაც ქარიშხალი ჩაწყნარდა, ვკითხე: „რას ნიშნავს თქვენთვის თავნება?“ მან მომიგო, ეს სიტყვა არაფერს მეუბნებაო. მე ჩემი არ დავიშალე. ამ სიტყვაზე ძლიერი დარღვევა აღმოცენდა, რაც იმაზე მეტყველებს, რომ მასთან რაღაც არის დაკავშირებული-მეთქი, მაგრამ ძალა აღარ დავატანე. შემდეგ სიტყვა ბოროტის რიგი დადგა – აქაც ვერაფერი დავაცდენინე. ძლიერი უარყოფითი რეაქცია ჰქონდა, რაც იმაზე მეტყველებდა, რომ პასუხის გაცემა არ სურდა. ჯერი ლურჯზე რომ მიდგა, განმიცხადა, ეს ჩემი გარდაცვლილი ბავშვის თვალებიაო. ვკითხე, რა შთამბეჭდავი თვალები ჰქონდა-მეთქი? მან მომიგო: „რა თქმა უნდა. ეს ლაჟვარდისფერი თვალები, ბავშვი რომ დაიბადა...“ შევნიშნე, რომ სახის გამომეტყველება შეეცვალა და რატომ აღელდით-მეთქი, ვკითხე. მან მომაგება: „იცით, მას ჩემი ქმრის თვალები არ ჰქონდა“. ბოლოს და ბოლოს გამოირკვა, რომ ბავშვს მისი ადრინდელი სატრფოს თვალები გამოჰყოლოდა. ვკითხე, იმ კაცთან დაკავშირებით რა გაწუხებთ-მეთქი და, როგორც იქნა, ჩემი გავიტანე და ეს ისტორია ამოვქაჩე:

პატარა ქალაქში, სადაც ის იზრდებოდა, ერთი მდიდარი ახალგაზრდა ცხოვრობდა თურმე. თვითონ ეს გოგონა შეძლებული, მაგრამ დიდად არაფრით გამორჩეული ოჯახიდან იყო. ყმაწვილი კაცი კი მდიდარ ზედაფენას განეკუთვნებოდა, პატარა ქალაქის გმირი გახლდათ და ყველა ქალიშვილი მასზე ოცნებობდა. ეს გოგონა ლამაზი იყო და ეგონა, რაღაც შანსი მაქვსო. შემდეგ დარწმუნდა, რომ სულ ტყუილად იმედოვნებდა და ოჯახში ურჩიეს: „რას გადაყევი მაგაზე ფიქრს?! ეგ მდიდარია და შენ რაში ენაღვლები! აგერ, ესა და ეს კაცი რა სიმპათიურია! ვითომ რა გიშლის, მაგას რომ მისთხოვდე?“ ამ კაცს გაჰყვა კიდევაც ცოლად და თავს სავსებით ბედნიერად გრძნობდა ქორწინების მეხუთე წლამდე. შემდეგ მშობლიური ქალაქიდან ძველმა მეგობარმა მოინახულა. ქმარი ოთახიდან რომ გავიდა, სტუმარმა უთხრა, ერთ ვინმეს (იგი იმ „გმირს“ გულისხმობდა) გული დიდად დაუმძიმეო. „რაო? მე დავუმძიმე?“ – შეიცხადა ქალმა. მეგობარმა კი განაგრძო: „განა არ იცოდი, რომ შენ უყვარდი?! კინაღამ გაგიჟდა, შენ რომ ვიღაც სხვას გაჰყევი!“ ახლა კი იფეთქა მის გულში გამძვინვარებულმა ცეცხლის ალმა, მაგრამ როგორღაც ჩაახშო.

თოთხმეტი დღის შემდეგ ის თავის ორი წლის ბიჭს და ოთხი წლის გოგონას აბანავებდა. წყალი ქალაქში (ეს ამბავი შვეიცარიაში არ ხდებოდა) მთლად სანდო არ იყო, სახელდობრ, ტიფის ბაცილებით იყო ინფიცირებული. დედამ შეამჩნია, რომ გოგონა საბანაო ღრუბელს წოვდა, მაგრამ არ დაუშლია და როდესაც ბიჭუნამაც თქვა, წყალი მინდაო, მასაც ეს საეჭვო წყალი მიაწოდა. გოგონას ტიფი დაემართა და დაიღუპა, ბიჭი კი გადარჩა. ასე რომ, ქალმა მიაღწია იმას, რაც სურდა (თუ რაც მასში მყოფ ეშმაკს სურდა) – ქორწინების გაუქმებას, რათა სხვაზე გათხოვების უფლება ჰქონოდა. ამ მიზნით მან მკვლელობა ჩაიდინა. თვითონ არაფერი იცოდა ამის შესახებ – მხოლოდ და მხოლოდ ფაქტებს მიყვებოდა. ის დასკვნა არ გამოუტანია, რომ თავად ეკისრებოდა საკუთარი ბავშვის სიკვდილზე პასუხისმგებლობა: მან ხომ იცოდა, რომ წყალი ინფიცირებული იყო და სიფრთხილე მართებდა. ჩემ წინაშე ასეთი საკითხი დადგა: მეთქვა, რომ მკვლელი იყო თუ ენაზე კბილი დამეჭირა (საქმე მხოლოდ მისთვის თქმას ეხებოდა, ეს ხომ სასამართლო პროცესი არ ყოფილა). ბუნებრივია, მოსალოდნელი იყო, რომ მისი მდგომარეობა ძლიერ გაუარესდებოდა, თუკი ვეტყოდი. მაგრამ პროგნოზი ისედაც კარგს არაფერს უქადდა და, მეორე მხრივ, პრინციპში, საფუძველს მოკლებული არ იყო ის ვარაუდი, რომ რაკი ჭეშმარიტი ვითარების დანახვა საქმეში გაარკვევდა, შეიძლება გამოჯანმრთელებულიყო კიდეც. ამრიგად, გადავწყვიტე პირში მეთქვა: „თქვენ მოკალით თქვენი შვილი“. თავიდან სასტიკად აღელდა, მაგრამ მერე ფაქტებს მიუბრუნდა. სამი კვირის შემდეგ გავწერეთ, და მას მერე აღარ დაბრუნებულა. მას კიდევ 15 წლის განმავლობაში ვადევნებდი თვალყურს, მდგომარეობა აღარ გამეორებულა. ის დეპრესია ფსიქოლოგიურად შეესიტყვებოდა მის სიტუაციას: იგი მკვლელი იყო და სხვაგვარ გარემოებებში სიკვდილით დასჯას იმსახურებდა. კატორღის ნაცვლად კი ფსიქიატრიულ საავადმყოფოში მოკვდა. სულიერი ავადმყოფობის სასჯელისაგან მე იმით ვიხსენი, რომ მის სინდისს აუტანელი სიმძიმე ავკიდე: როდესაც შენს ცოდვებს საკუთარ კისერზე იღებ, მათთან ერთად ცხოვრება კიდევ ასატანია, გაიძლება, მაგრამ თუკი მათ თვალს ვერ უსწორებ, მაშინ გარდუვალ შედეგებს ვერსად გაექცევი.

[…]

მესამე ლექცია

[…]

ძვირფასო ქალბატონებო და ბატონებო! გუშინ უნდა დამემთავრებინა ასოციაციის ექსპერიმენტის შესახებ თხრობა, მაგრამ ასე რომ მოვქცეულიყავი, დადგენილ დროს გადავაცილებდი. ამიტომ გთხოვთ მომიტევოთ, რომ ისევ ამ თემას ვუბრუნდები. გულშიც ნუ გაივლებთ, თითქოს რაღაც განსაკუთრებით შეყვარებული ვიყო ამ ექსპერიმენტზე. მე მას მხოლოდ გაჭირვების ჟამს მივმართავ, მაგრამ საქმე იმაშია, რომ ზოგიერთი ჩემი შეხედულება მას ეფუძნება. გუშინ ცოტა რამ მოგიყევით ნიშანდობლივი დარღვევების თაობაზე, და ვფიქრობ, არაფერი დაშავდება, ყველაფერი კიდევ ერთხელ მოკლედ რომ შევაჯამო, რაც ამ ექსპერიმენტით მიღებული შედეგების შესახებ შეიძლება ითქვას, სახელდობრ, კომპლექსთა შესახებ.

კომპლექსი ასოციაციათა აგლომერაციაა (ეს მეტად თუ ნაკლებად რთული ფსიქოლოგიური ბუნების მქონე სურათია), რომელიც ხან ტრავმატული, ხან კი – მხოლოდ მტკივნეული და ძლიერ დაძაბული ხასიათისაა. ყოველივე ისეთთან, რაც

მაღალი დაძაბულობის ქვეშაა, მიდგომა ჭირს. მაგალითად, თუ ჩემთვის რამე ძალიან მნიშვნელოვანია, მერყეობას ვიწყებ, როდესაც მას ვუახლოვდები. ალბათ, შეამჩნევდით, რომ თუ თქვენ ძნელ კითხვას მისვამთ, მაშინვე კი ვერ გპასუხობთ; ეს იმიტომ, რომ ეს თემა ჩემთვის მნიშვნელოვანია, და რეაქციის დრო გადიდებული მაქვს. ვბორძიკობ, მივედ-მოვედები; მეხსიერება მყისვე როდი მაწვდის საჭირო მასალას. ასეთი დარღვევები კომპლექსებთანაა კავშირში, იმ შემთხვევაშიც კი, თუ ის, რასაც ვამბობ, ჩემს პიროვნულ კომპლექსს არ ეხება. უბრალოდ, ეს რაღაცა ჩემთვის მნიშვნელოვანია, და ყოველივე ისეთთან, რასაც მაღალი გრძნობითი ღირებლება გააჩნია, მიდგომა ძნელია, რადგან ასეთი შინაარსები როგორღაც ფიზიოლოგიურ მოვლენებს უკავშირდება, როგორიცაა, მაგალითად, გულის ცემა, სისხლძარღვთა ტონუსი, კუჭ-ნაწლავში მიმდინარე პროცესები, სუნთქვა და კანის ინერვაცია.ასეთ შემთხვევაში ისეთი შთაბეჭდილება გვრჩება, თითქოს ამ კომპლექსს საკუთარი სხეული ჰქონდეს და ჩვენს სხეულში ბუდობდეს, – ამიტომაც იწვევს ასეთ დარღვევას; ის, რაც ჩემს სხეულს აღიზიანებს, იოლად მოსაშორებელი არაა; მას ფესვები გაუდგამს ჩემს სხეულში და ჩემს ნერვებზე მოქმედებს. ცოტათი დაძაბული და მცირე გრძნობითი ღირებულების მქონე რაცაა, იმას ადვილად გავუმკლავდებით, – ფესვები არა აქვს და ვერ ჩამოგვეკიდება, ვერ მოგვეკრობა.

ძვირფასო ქალბატონებო და ბატონებო, ამას ძალზე მნიშვნელოვან დასკვნამდე მივყავართ, სახელდობრ, იმ ფაქტამდე, რომ კომპლექსს თავისი მოცემული დაძაბულობითურთ ანუ ენერგიის მარაგითურთ ტენდენცია აქვს პატარა კერძო პიროვნებად იქცეს. მას გააჩნია ერთგვარი სხეული და გარკვეული საკუთარი ფსიქოლოგია. მას შეუძლია კუჭი აგვიშალოს, დააბრკოლოს სუნთქვა, გულის მუშაობა, – მოკლედ, ნაწილობრივ პიროვნებასავით იქცევა. მაგალითად, თუკი რაიმეს თქმა გნებავთ და, საუბედუროდ, ეს განზრახვა კომპლექსს შეეჯახა, მაშინ სულ სხვა რამეს იტყვით და არა იმას, რაც ენაზე გადგათ, – უბრალოდ, სათქმელს შუაზე გაწყვეტინებენ; საუკეთესო განზრახვას კომპლექსი სწორედ ისევე გვიმსხვრევს, როგორც ადამიანური არსება ან გარემო პირობები შეგვიშლიდა ხელს. ამიტომ სხვა რა დაგვრჩენია, – ისე უნდა ვილაპარაკოთ კომპლექსთა ტენდენციების შესახებ, თითქოს ისინი რაღაც საკუთარი ნებით იყვნენ აღჭურვილნი. ნებელობა რაკი ვახსენეთ, ბუნებრივია, „მე“ გაგვახსენდება. კი მაგრამ, სადღაა კომპლექსის „მე“? – მის გარეშე ხომ ნებელობა წარმოუდგენელია. ჩვენ ვიცნობთ საკუთარ „მე“-კომპლექსს, და გვგონია, რომ სხეული მისი მონა-მორჩილია. უნდა ითქვას, რომ ვცდებით, მაგრამ მაინც დავუშვათ, რომ ის არის ცენტრი, რომელსაც სხეული უსიტყვოდ ემორჩილება, რომ არსებობს ასეთი პუნქტი, ფოკუსი, რომელსაც „მე“-ს ვუწოდებთ, და რომ ამ „მე“-ს საკუთარი ნება გააჩნია და შეუძლია თავის კომპონენტებს თვითონ მოუაროს. „მე“-ც მაღალი დაძაბულობის მქონე შინაარსთა გროვაა, ისე რომ, პრინციპში „მე“-კომპლექსსა და ნებისმიერ სხვა კომპლექსს შორის განსხვავება არაა.

რაკიღა კომპლექსებს რაღაც ნებელობა, ერთგვარი „მე“ გააჩნიათ, ამიტომ შიზოფრენულ მდგომარეობაში მათ შეიძლება აიწყვიტონ და ისე გაუთამამდნენ ცნობიერ კონტროლს, რომ შესაძლებელი გახდეს მათი დანახვა და მოსმენა. ისინი მოჩვენებებად გვეცხადებიან, ისეთი ხმით ლაპარაკობენ, რომ მავან პირთა ხმები გეგონება. კომპლექსთა ასეთ პერსონიფიკაციას ჯერ კიდევ აუცილებელი არაა პათოლოგიური ვუწოდოთ. სიზმრებში, მაგალითად, ჩვენი კომპლექსები ხშირად პერსონიფიცირებული სახით გვევლინებიან.

შესაძლებელია ისე გავვარჯიშდეთ, რომ სიფხიზლეშიც ვუყუროთ და ვუსმინოთ მათ. გარკვეული სახის იოგას ვარჯიშების მიზანი სწორედ ცნობიერების მის შემადგენელ კომპონენტებად გახლეჩვაში მდგომარეობს, რომელთაგან თითოეული ცალკეულ პიროვნებად იჩენს თავს. ჩვენი არაცნობიერის ფსიქოლოგიაში არსებობენ ტიპიური ფიგურები, რომელნიც სრულიად განსაზღვრული საკუთარი ცხოვრებით ცხოვრობენ.[109]

ყოველივე ეს იმ გარემოებით აიხსნება, რომ ცნობიერების ე. წ. მთლიანობა ილუზიაა; ფაქტიურად ეს მთლიანობა ლამაზი სიზმარია და სხვა არაფერი. სიამეს გვგვრის, ვიფიქროთ, რომ ერთიანი ვართ, მაგრამ გადაჭრით შეიძლება ითქვას, რომ ასე არაა. გამოდის, საკუთარ სახლში ბატონ-პატრონები არა ვყოფილვართ; კი, ვერაფერს იტყვი, სასიამოვნო განცდაა, როცა გვწამს ჩვენი ნებისყოფისა, ენერგიისა და ყოველივე იმის, რისი განხორციელებაც მიზნად დაგვისახავს; მაგრამ საქმე საქმეზე რომ მიდგება, ირკვევა, რომ რაც გუნებაში გვქონდა, იმის მხოლოდ მცირედი ნაწილისთვის შეგვისხამს ფრთა, რადგან ხელი შეგვიშალეს იმ პატარა ეშმაკუნებმა, – კომპლექსებმა. კომპლექსები ასოციაციათა ავტონომიური ჯგუფებია, რომელთაც ტენდენცია აქვთ, დამოუკიდებლად იმოქმედონ, თავის გემოზე იცხოვრონ, ჩვენს განზრახვებს კი ჩირადაც არ აგდებენ. ჩემის აზრით, პიროვნული არაცნობიერი, ისევე როგორც კოლექტიური არაცნობიერი, კომპლექსთა ანუ ნაწილ-პიროვნებათა განუსაზღვრელი, ჩვენთვის უცნობი რიცხვისაგან შედგება.

ასეთი წარმოდგენა ბევრ რამეს გვიხსნის. მაგალითად, ის შუქს ჰფენს იმ უბრალო ფაქტს, რომ მგოსანს ძალუძს თავისი შინაგანი უნარების დრამატიზაცია და პერსონიფიკაცია. როდესაც ის სცენარში, ლექსში, დრამასა თუ რომანში რაიმე ფიგურას ქმნის, იქნებ ჰგონია, რომ ის მხოლოდ და მხოლოდ მისი ფანტაზიის ნაყოფია; ნურას უკაცრავად, – ამ ფიგურამ გარკვეული აზრით თვითონ შექმნა საკუთარი თავი. არც ერთი მწერალი თუ დრამატურგი არ დაეთანხმება იმ აზრს, რომ მის ფიგურებს რაიმე ფსიქოლოგიური მნიშვნელობა გააჩნიათ, მაგრამ სინამდვილეში ამას წყალი არ გაუვა. ასე რომ, მგოსნის მიერ შექმნილი ფიგურების შესწავლისას მის სამშვინველში ვიხედებით.

ამრიგად, კომპლექსები ნაწილ-პიროვნებებია. როდესაც „მე“-კომპლექსზეა ლაპარაკი, თავისთავად გასაგებად ვთვლით, რომ მას ცნობიერება უნდა გააჩნდეს, – ცნობიერებას ხომ სხვადასხვა შინაარსთა კავშირს ვუწოდებთ ცენტრთან ანუ, სხვანაირად, „მე“-სთან. მაგრამ სხვა კომპლექსებშიც ხომ არის შინაარსები ცენტრის, ერთგვარი nucleus-ის[110] გარშემო დაჯგუფებული. ასე რომ, საკითხავია: აქვთ თუ არა კომპლექსებს საკუთარი ცნობიერება? სპირიტისტულ ფენომენებს თუ შევისწავლით, იძულებული გავხდებით ვაღიაროთ, რომ ე. წ. სულებს, რომელნიც ავტომატური წერის ანდა მედიუმის ხმის მეშვეობით ვლინდებიან, მართლაც გააჩნიათ ერთგვარი საკუთარი ცნობიერება. ამიტომაა, რომ საღად მოაზროვნე ხალხი მზადაა დაიჯეროს, რომ სულები – ეს გარდაცვლილი დედის, თუ პაპის, ან სხვა ვინმეს სულია, – სწორედ იმ მეტად თუ ნაკლებად გამოკვეთილი ინდივიდუალობის გამო, რომელიც ამ მანიფესტაციებში იჩენს თავს. სულიერი ავადმყოფობის შემთხვევაში, რა თქმა უნდა, ჩვენთვის ნაკლებად უპრიანია ვიფიქროთ, საქმე სულებთან გვაქვსო. ასეთ გამოვლინებებს მაშინ პათოლოგიურს ვუწოდებთ ხოლმე.

ეს, რაც კომპლექსებს შეეხებოდა. ასე იმიტომ გავუსვი ხაზი ცნობიერების ამ სპეციფიკურ მომენტს კომპლექსებში, რომ ეს უკანასკნელნი სიზმრის ანალიზისას დიდ

როლს ასრულებენ. გეხსომებათ დიაგრამა (სურ.4) სხვადასხვა ფსიქიკური წრეებითა და შუაში – არაცნობიერის ჩამუქებული ცენტრით. რაც უფრო მეტად ვუახლოვდებით ცენტრს, მით უფრო საგრძნობი ხდება ის, რასაც ჟანე abbaissement du niveau mental-ს[111] უწოდებს: ცნობიერების ავტონომია კლებულობს და სულ უფრო და უფრო მეტად ვექცევით არაცნობიერ შინაარსთა ტყვეობაში. ცნობიერების ავტონომია სიმძაფრესა და ენერგიას კარგავს, და ეს ენერგია ახლა არაცნობიერ შინაარსთა აქტივობაში იჩენს თავს. ექსტრემალურ ფორმაში ამ პროცესს შეიძლება დავაკვირდეთ, თუ გულდასმით შევისწავლით სულით ავადმყოფს. არაცნობიერ შინაარსთა ჯადო სულ უფრო იზრდება, ცნობიერი კონტროლი კი შესაბამისად მცირდება, სანამ პაციენტი ბოლოს და ბოლოს მთლიანად არაცნობიერში არ ჩაიძირება და მის ხელთ არ გადავა. მას მსხვერპლად წარიტაცებს ახალი ავტონომიური აქტივობა, რომელიც მისი „მე“-დან კი არ მომდინარეობს, არამედ ბნელი სფეროდან.

[…]

1 ევოლა (*La Tradizione ermetica, p. 28 f.*) ამბობს: „წინა კულტურული ციკლების ადამიანის სულიერი წყობა იმგვარი იყო, რომ მის ყოველ ფიზიკურ აღქმას თან ფიზიკური კომპონენტიც ახლდა, რომელიც მას „ასულიერებდა“. უბრალო სურათ-ხატს ადამიანი დამატებით „მნიშვნელობასა“ და განსაკუთრებულ, ძლიერ ემოციურ ტონს ანიჭებდა. ამგვარად, ანტიკური ეპოქის ფიზიკა ერთდროულად თეოლოგიაც იყო და ტრანსცენდენტალური ფსიქოლოგიაც, ბუნებისმეტყველება კი – იდუმალთმეტყველებაც, ასე რომ, სიმბოლოთა მნიშვნელობები ერთიანი ცოდნის სხვადასხვა ასპექტს მოიცავდა.

2 *Rosarium: Art. aurif. II, p. 231: ”Et ille dicitur lapis invisibilitatis, lapis sanctus, res benedicta“* [„და იგი იწოდება უხილავ ქვად, წმინდა ქვად და კურთხეულ საგნად“].

3 *Maier, Symbola aureae mensae, p. 386: … non parvis sumptibus illam / Invenere artem, qua non ars dignior ulla est, / Fingendi Lapidem Aetherium* [„…დიდი შრომის შედეგად ჩაწვდნენ ისინი ეთერული ქვის შექმნის ხელოვნებას, რომელიც ხელოვნებათა შორის ყველაზე ღირსეულია“] (ეყრდნობა მარცელუს პალინგენიუსის *”poeta et sacerdos“*-ს).

4 *”…omnes receptae spernendae sunt in arte“*, როგორც *Rosarium* (*Art. aurif. II, p. 223*) ამბობს.

* ბნელის უფრო ბნელით, უცნობის უფრო უცნობით ახსნა (ლათ.).

5 *Abtala Jurain Filii Jacob Juran, Hyle und Coahyl.* ეთიოპიურიდან ლათინურად და ლათინურიდან გერმანულად თარგმნა დოქტორმა იოჰან ელიას მიულერმა. ტექსტი, აშკარად, არ არის ძველი. ყველა ნიშნის მიხედვით იგი მე-18 საუკუნეში უნდა შექმნილიყო. მადლობას ვუხდი პროფ. რაიხშტაინს (ბაზელი) ამ პატარ წიგნის მოწოდებისთვის. *Die Schöpfung, Kp. VIII, p. 52 ff* და *Die Himmel, Kp. IX, p. 54 ff.*

* კვარტი – [ლათ. *quarte* (*pars*) მეოთხედი (ნაწილი)]. ფხვიერი და თხევადი ნივთიერების საწყაო, განსხვავებული სიდიდისა სხვადასხვა ქვეყანაში. ჩვეულებრივ, ლიტრზე ცოტა მეტი (მთარგმნ.).

6 როსნობლი – XV-XVI საუკუნეების ინგლისური ოქროს მონეტა.

* უნცია – წონის ერთეული ძველ რომში და შემდეგ ევროპის სხვა სახელმწიფოებში მეტრული სისტემის შემოღებამდე. დაახლოებით 30 გრამია (მთარგმნ.).

7 *De Alchemiae difficultabibus: Theatr. chem. (1602) I, p. 164 ff.* ასევე *Philalethes, Introitus apertus: Mus. herm.), p. 687: "Terra enim germinandi avida aliquid semper fabricat, interdum aves aut bestias reptiliaque te in vitro conspicere imaginabere…"* [„მიწა, განაყოფიერებისთვის მუდამ მწყურვალი, ყოველთვის რაიმეს ბადებს. ხანდახან გეჩვენება, რომ მინის ჭურჭელში ფრინველებს, ცხოველებს და რეპტილიებს ხედავ…"]. კათედრასთან მდგომი კაცი, უდავოდ, ჰერმესის ხილვაა, როგორც ამას სენიორის ტრაქტატიდან ვიგებთ. სენიორი მე-10 საუკუნის არაბი ავტორია. ბრძენის აქ აღწერილი ფიგურა, რომელსაც მუხლებზე საიდუმლოებათა გადაშლილი წიგნი უდევს, „პოლიფილეს" თავფურცლიდან არის ნასესხები (ნახ. 4). ამ ტიპის უძველესი ხილვა, სავარაუდოდ, კრატესის წიგნიდან უნდა იყოს. ჩვენამდე კრატესის წიგნის არაბულმა თარგმანმა მოაღწია, რომელიც მე-9 საუკუნეს უნდა ეკუთვნოდეს. წიგნის უმეტესი ნაწილი ბერძნული წარმოშობისაა და, ამდენად, უფრო ძველია. ბერთელოს თარგმანში ვკითხულობთ: „შემდეგ ვიხილე მოხუცი ბრძენი, ადამიანთა შორის უმშვენიერესი პირისახით, თეთრ სამოსში გამოწყობილი, წიგნით ხელში და კათედრაზე მჯდომი. როცა ვიკითხე, ვინ იყო ეს ბრძენი, მიპასუხეს: „ეს არის ჰერმეს ტრისმეგისტოსი. წიგნში, რომელიც ხელში უჭირავს, იმ საიდუმლოებათა განმარტებებია, რომელთაც იგი ადამიანებს უმალავს" (*Chimie au moyen âge III, p. 46 ff.*).

8 *De alch. diff., l. c., p. 199.*

9 *Mus. herm., p. 574 [Sendivogius].*

10 *Compendium: Bibl. chem. I, p. 875.*

11 *Speculativa philosophia: Theatr. chem. (1602) I, p. 275.*

12 *Hoghelande, De alch. diff.: Theatr. chem. (1602) I, p. 150.*

13 *Theatr. chem. (1622) V, p. 884.*

14 შესაბამისი ნაწყვეტის ტექსტი: *"…quasi Materia Hypostatica fingit se in aquam demersum per illusionem…"* ილუზიას შეიძლება *"demergere"*-სთან ან *"fingere"*-სთან ჰქონდეს კავშირი. რადგან პირველიდან აზრი არ გამომდინარეობს, ამიტომ მეორეს ვირჩევ.

15 *Della Tramutazione metallica sogni tre. "Somnia credentur vix; non tamen omnia falsa,*

Quae tali fuerint praemeditata viro" [„ძნელია ენდო სიზმრებს, თუმცა ყველა სიზმარი როდი ტყუის, განსაკუთრებით მაშინ, როცა ასეთ ადამიანს ესიზმრება"].

16 *Art. aurif. I, p. 146 ff.*

17 *Berthelot, Chimie au moyen âge III, p. 319 f.*

18 იხ. ჩემი *Die Visionen des Zosimos*.

19 *Sendivogius, Parabola: Bibl. chem. II, p. 474 f.* – კუნრატი *(Hyleal. Chaos, p. 42)* წერს: „კაბალისტური *habitaculum Materiae Lapidis* შესახებ პირველად ღვთაებრივი გამოცხადებით შევიტყვეთ (იგი ერთდროულად შექმნილიცაა და ხელთუქმნელიც) ძილშიც, ღვიძილშიც და ფანტაზიაშიც".

20 *De ratione conficiendi lapidis: Theatr. chem. (1602) II, p. 256.*

21 *l. c., p. 184 f.*

22 ასეთივე მოსაზრებას ვხვდებით ჰოგელანდესთან: *De alch. diff.: Theatr. chem. (1602) I, p. 154*; ასევეა რუსკას მიერ გამოცემულ *Turba*-შიც, *p. 155, 8; Mus. herm., pp. 8, 55, 75* და *212*; დორნი, *Physica Trismegisti: Theatr. chem. (1602) I, p. 413.*

23 ჰოგელანდე ეყრდნობა *Turba*-ს, XXXIX (გამომც. რუსკა), გვ. 147, 2: *"maius est, quam quod ratione percipiatur <nisi> divina inspiratione"* [„მეტისმეტად დიდია იმისთვის, რომ გონებით წვდომა შევძლოთ, თუ არა ღვთაებრივი შთაგონებით"].

24 *l. c., p. 205*.

25 *Sendivogius, Novum lumen: Mus herm., p. 577: "…materia prima, quam solus Deus scit".*

26 *khunrath, l. c., p. 71 f.* – ყურადღება მიაქციეთ ლოგოსზე ნაგულისხმევ მითითებას (იოანე, 1, 9-11).

27 *Instructio de arbore: Theatr. chem. VI, p. 168*.

28 *"Quaeso, oculis mentis hanc grani triticei arbusculam secundum omnes suas circumstantias aspice, ut arborem Philosophorum, eodem modo plantare… queas".*

29 *Theatr. chem. (1602) I, p. 472: "Ex alijs nunquam unum facies quod quaeris, nisi prius ex teipso fiat unum".*

30 ეყრდნობა, ალბათ, *Tabula Smargdina*-ს (გამომც. რუსკა, გვ. 2): *"Et sicut omnes res fuerunt ab uno, meditatione unius: sic omnes res natae"* [„ყველაფერი ჩნდება ისე, როგორც ყოველივე წარმოდგება ერთიდან, ერთზე მედიტაციით"]. ამასვე უკავშირდება მოთხოვნა, რომლის თანახმადაც, ალქიმიკოსს რაიმე სერიოზული ფიზიკური ნაკლი ან ხინჯი არ უნდა ჰქონოდა. იხ. გებერსის *Summa perfectionis, lib. I, p. 24: "Si vero fuerit artificis corpus debile et aegrotum, sicut febrientium, vel leprosorum corpora, quibus membra cadunt, et in extremis vitae laborantium, et iam aetatis decrepitae senum, ad artis complementum non perveniet. His igitur naturalibus corporis impotentijs impeditur artifex in*

intentione sua" [„თუ ოსტატი კიდურებმომპალი კეთროვანივით სნეულია ან სუსტი ჯანმრთელობა აქვს, ან დაუძლურებული მოხუცივით იტანჯება, ან იმ ადამიანივით, ვისაც სიკვდილი მოახლოებია, საქმეს ვერ დაასრულებს. სხეულის ბუნებრივი უუნარობის გამო იგი შეზღუდულია თავის ქმედებებში"]. მეორე ძველი ტექსტი **S***eptem tractatus seu capitula Hermetis Trismegisti, aurei, Ars chem.*-ში, *Kp. I, p. 11* იმავე რჩევას გვაძლევს: *"Ecce vobis exposui, quod celatum fuerat, quoniam opus vobiscum, et apud vos est, quod intus arripiens et permanens in terra vel in mari habere potes"* [„მე განგიმარტეთ ის, რაც დაფარულია და თუ მას დაეუფლებით, შეგიძლიათ ზღვაზეც და ხმელეთზეც თან იქონიოთ"].

31 *Art. Aurif. II, p. 244 f.* რუსკა (*Turba, p. 342*) *Rosarium*-ს მე-15 საუკუნის შუა პერიოდს მიაკუთვნებს.

32 *"Pone ergo mentem tuam super salem, nec cogites de alijs. Nam in ipsa sola occultatur scientia et arcanum praecipuum et secretissimum omnium antiquorum Philosophorum".* მანგეტუსის (*Bibl. chem. II, p. 95*) ვერსია შეიცავს *"ipsa sola"*-ს; ასევე *Rosarium*-ის პირველი და 1593 წლის გამოცემებიც. სამწუხაროდ, ხელნაწერი ვერ მოვიპოვე.

33 იხ. *"sal sapientiae"*, რომელსაც ნათლობის ძველი რიტუალის მიხედვით ნათლულს აძლევენ.

34 *l. c., pp. 257, 260* და *262.*

35 *l. c., p. 258.*

36 *Art. Aurif. II, p. 214 f.: "et vide secundum naturam, de qua regenerantur corpora in visceribus terrae. Et hoc imaginare per veram imaginationem et non phantasticam".*

37 *l. c., p. 243: "Et invenitur in omni loco, et in quolibet tempore, et apud omnem rem, cum inquisitio aggravat inquirentem".*

38 სასულიერო პირი ლონდონის წმინდა პავლეს ტაძარში, პაპ გრეგორIX-ის პირადი ექიმი (1252) (*Ferguson, Bibliotheca chemica II, p. 270 f.*).

39 *Theatr. chem. (1602), II, p. 444.*

40 *"Parmenides...qui me primum retraxit ab erroribus, et in rectam viam direxit", Liber de alchemiae: theatr. chem (1602), I, p. 795.*

41 *Dealch. diff.: Theatr. chem., 1 c., p. 213 f.*

42 *1 c., p., 206.*

* „მე ვიხილე სრულყოფილება" (ლათ).

43 *Opusculum philosophiae naturalis: Theatr: chem. (1602) I, pp. 813* და *815 f.* [„მე ვიხილე დასასრული – ჩემ თვალწინ ბაჯაღლო ოქროდ ქცეული"]

44 *Correctorium alchymiae: Theatr. chem. (1602), II, p. 451.*

45 *l. c., p. 459.*

46 *Theatr. chem. (1602), I.*

* სპაგირიკი – წამლის დამზადების ალქიმიური მეთოდი (ლათ. სპაგირიცუს – „ალქიმიკოსი“; ფრ. სპაგირიე – „ქიმია“) (მთარგმნ.).

47 *Philosophia chemica: Theatr. chem. (1602), I, p. 485: "Verum forma quae hominis est intellectus, initium est, medium et finis in praeparationibus: et ista denotatur a croceo colore, quo quidem indicatur hominem esse maiorem formam et principalem in orepe spagirico". "Forma"* მოქმედებს *"informatio"*-ს მეშვეობით, რომელსაც *"fermentatio"*-საც უწოდებენ. *"Forma"* იდეის იდენტურია. ოქრო, ვერცხლი და ა. შ. მატერიის ფორმებია, ამიტომ ის, ვინც გამოჭედავს ოქროს ფორმას *"informis massa"*-დან ან ქაოსიდან, ოქროს დამზადებასაც შეძლებს.

48 *Theatr. chem. V, p. 114 ff.*

49 *l. c., p. 137.*

50 ეს წიგნი განმარტავს *"quid separetur et praeparetur"*-ს. *"separatio"*, ანუ *"solutio"*, ნიშნავს პირველადი მატერიის ელემენტებად დაშლას.

51 ტექსტში ვკითხულობთ: *"... liber in exaltatione animae, cum sit separatio naturae, et ingenium in conversione sua a materia sua". "Anima"* თავის სხეულს სცილდება (*separatio*). ის, როგორც *"ingenium"*-ი, სხეულის და „სულის“ დამახასიათებელი თვისებაა, რომლის მატერიალური ბუნებაც უნდა გარდაიქმნას.

52 *"Est sicut praeparatio totius, et conversio naturae ad simplex... et necesse est in eo elevari ab animalitate, plus quam natura, ut assimuletur praeparation(e) ipsis intelligentiis, altissimis veris".* მთავარი საქმე ინტელექტის ხვედრია. ეს არის სუბლიმაცია უმაღლეს საფეხურამდე, სადაც ბუნება მარტივ ელემენტებად გარდაიქმნება და თავისი ბუნებით სულებს, ანგელოზებსა და მარადიულ იდეებს ენათესავება. ამ საფეხურს მეორე მწკრივის ცეცხლი შეესაბამება, *"qui est super omnia elementa, et agit in eis"* [„რომელიც აღემატება ყველა ელემენტს და მათში მოქმედებს“], მესამე მწკრივში მას გარდაქმნილი ბუნების ეთერული (უმაღლესი) ფორმა შეესაბამება, მეოთხეში კი – მთელი პროცედურის მიზანი.

53 ამ მწკრივს წინ დართული აქვს შემდეგი შენიშვნა: *"Vel si vis potes illas <scl. exaltationes> comparare elementis"* [„თუ გინდა, ეს ამაღლება ელემენტებს შეუდარე“].

54 *"Rationi vere dirigenti ad veritatem"* [„გონება, რომელიც, მართლაც, ჭეშმარიტებისკენ მიგვიძღვის“].

55 *"effectus"* გარდაქმნის პროცესის წინა საფეხურზე მიუთითებს.

56 *'Ανωτάτω μεν ουν ειναι ὸ πυρ. (Diogenes Laertius, Das Leben grosser Philosophen, VII, 1:*

Zeno-ს შესახებ, *137*).

57 სტოიკური მოძღვრება.

58 ლაკტანციუსთანაც (*Institutiones, VII, 12*) სამშვინველს მანათობელი, ცეცხლოვანი ბუნება აქვს.

59 *Aristoteles, De coelo, I, 3* და *Meteorologica, I, 3.*

60 არისტოტელესთან (*Meteor., XII, 7*) ღმერთი არის *ουσία τις αίδιος και ακίνητος* [„მარადიული და უცვლელი“].

61 ასეთივე მოსაზრება გვხვდება ფეხნერთანაც (*Elemente der Psychophysik II, p. 526*): „ის, რაც ფსიქოლოგიურად მარტივი და ერთგვაროვანია, ფიზიკურად მრავალფეროვანს უერთდება, ფიზიკურად მრავალფეროვანი კი ფსიქიკურ სიმარტივემდე, ერთგვაროვნებამდე იკუმშება“.

62 *Liber quartorum: Theatr. chem. V, pp. 145* და *144.*

* ლათინურიდან თარგმნა ლალი კოჭლამაზაშვილმა.

63 ნაცვლად *”intelligentiae“*-სი.

64 ნაცვლად *”intelligentia“*-სი.

65 ნაცვლად *”et quid“*-ისა.

* ლათინურიდან თარგმნა ლალი კოჭლამაზაშვილმა.

66 *l. c., p. 144: ”Sedentes super flumina Eufrates, sunt Caldaei… priores, qui adinvenerumt exstrahere cogitationem“* [„მდინარე ევფრატის სანაპიროებზე მცხოვრები ქალდეველები იყვნენ პირველები, ვინც „აზროვნების“ არსი შეიცნო“].

67 *l. c., p. 137.*

68 *”Si utaris opere exteriori, non utaris nisi occipitio capitis, et invenies“* [„თუ შენ ოპერაციის ფიზიკურ მხარეს იყენებ, მაშინ *”Occiput“*-ი უნდა იხმარო და მიზანსაც მაშინ მიაღწევ“] (ლ. ც., პ. 124).

69 *”Os capitis est mundum et est… minus os, quod sit in (h)omine <Text: nomine>, et vas mansionis cogitationis et intellectus…“* [„თავის ქალა წმინდაა და თანაც ადამიანის შედარებით პატარა ძვალია. ის გონებისა და აზროვნების ჭურჭელია“] (*l. c., p. 124*).

70 *”Res convertuntur per tempus ad intellectum per certitudinem, quantum partes assimulantur in compositione et in forma. Cerebrum vero propter vicinitatem, cum anima rationali“* [„კავშირი *”et“* აქ შეიძლება გამოვტოვოთ“] *permixtioni oportuit assimulari, et anima rationalis est simplext sicut diximus“.*

71 *Speculativa philosophia: Theatr. chem. (1602) I,* პ. *265.*

72 *l. c., p. 298.*

73 *l. c., p. 264.*

74 *l. c., p. 266.*

75 *l. c., p. 267: "Transmutemini de lapidibus mortuis in vivos lapides philosophicos".*

76 *Le Tableau des riches inventions.*

77 *Ioannes a Mehung (Jean De Menuh,* დაიბადა 1250-1280 წლებში), *Demonstatio naturae: Mus. herm. "…liberi vacuique animi" (p. 157).*

78 *Thoma Nortonus Anglus, Tractatus chymicus, Kp. VI: Mus. herm. "Nam mens ejus cum opere consentiat…" (p. 519).*

79 *Aquarium sapientum: Mus. herm., p. 107.*

80 *Aurora I, Kp. X,* მეხუთე იგავი, *pp. 90 da 92: De domo thesauraria: "Et Alphidius: Scito, quod hanc scientiam habere non poteris, nisi mentem tuam Deo purifices, hoc est in corde omnem corruptionem deleas".*

81 ტექსტში: *"…virtus, de qua dicitur, virtus ornat animam, et Hermes, et recipit virtutem superiorum et inferiorum Planetarum, et sua virtute penetrat omnem rem solidam…"* [„ძალა, რომლის შესახებაც ამბობენ, რომ სამშვინველს და ჰერმესს ამკობს: სამშვინველი ზედა და ქვედა პლანეტების ძალებს იკრებს და ყველა მყარ სხეულს განმსჭვალავს"] (ლ. ც., პ. 190); შდრ. რუსკა, *Tabula smaragdina* (პ. 2): *"…et recipit vim superiorum et inferiorum".*

82 ტექსტში ციტირებულია ეფეს. 4, 23 *f.: "…renovamini [autem] spiritu mentis vestrae, et induite novum hominem…"* [„და განახლდებოდეთ თქუენ სულითა მით გონებისა თქუენისათა და შეიმოსეთ ახალი იგი კაცი"]; იქვე დამატებულია: *"hoc est intellectum subtilem".*

83 *1. c., I, Kp. IX,* მეოთხე იგავი (პ. 76): *"…de corpore, de quo canitur: Horridas nostrae mentis purge tenebras".*

84 *l. c.: "Senior: et facit omne nigrum album…"*

85 -ის მიხედვით: *Art. aurif II. p. 228.* ტექსტი *Summa perfectionis* უფრო დეტალურია. V თავი მთლიანად მას ეთმობა. ამ თავის სათაურია *"De impedimentis ex parte animae arificis".* იხ. *Darmstaedter, Die Alchemie des Geber, p. 20 ff.*

86 *Rosarium: Art. aurif. II, p. 227: "Deum timere, in quo dispositionis tuae visus est, et adiuvatio cuiuslibet sequestrati".* ციტატა ამოღებულია *Tractatus aureus*-ის სავარაუდოდ, პირველი გამოცემიდან და შემდეგ გრძელდება II თავიდან, სადაც მე-14 გვერდზე ვკითხულობთ: *"Fili mi, ante omnia moneo te Deum timere, in quo est nisus tuae dispositionis et adunatio cuiuslibet sequestrati"* [„შვილო ჩემო, პატივი მიაგე უფალსა შენსა და გულისყური მისკენ მიაპყარ, რადგან იგია საუკეთესო თანამგზავრი მარტოსულთა გზაზე"].

87 *Morieni Romani quondam eremitae Hierosolymitani, De re metallica* და ა. შ., იხ. *Reitzenstein, Alchemistische Lehrschriften und Märchen bei der Arabern*. მორიენუსი (მორიენესი ან მარიანუსი) გადმოცემის თანახმად პრინც კალიდ იბნ იაზიდ იბნ მუავიას (635-704) მასწავლებელი უნდა ყოფილიყო. იხ. *Lippmann, Entstehung und Ausbreitung der Alchemie, p. 357.* იგივე ნაწყვეტი გვხვდება *Morieni Romani eremitae Hierosolymitani sermo*-ში: *Art. aurif. II, p. 22 f.*

88 *"Quibus eam a primaeva rerum natura conferre disposuit" (p. 22).*

89 *"…animos suos etiam ipsi regere non possunt diutius nisi usque ad terminum"* და ა. შ. *(p. 23*).

90 *l. c., p. 18: "…nisi per animae afflictionem".*

91 *Symbola, p. 568.*

92 *l. c., p. 144.*

93 *l. c., p. 143.*

94 *"Meditatio dicitur, quoties cum aliquo alio colloquium habetur internum, qui tamen non videtur. Ut cum Deo ipsum invocando, vel cum seipso, vel proprio angelo bono".* ეს მოსაზრება იგნატიუს ფონ ლოიოლას *"colloquium"*-ს შეესაბამება. ავტორები აღნიშნავენ მედიტაციის განსაკუთრებულ მნიშვნელობას. მაგალითების მოყვანა ზედმეტად მიმაჩნია.

95 იხ. ჩემი ნაშრომი *Die Beziehungen* [პარ. *341 ff.*].

96 *Intriotus apertusMus. herm*-ში.

97 *"…novamque volatilitatem citra ullam manuum impositionem meditabitur"*.

98 ამასთან დაკავშირებით იხილეთ მაჰმადიანური ლეგენდა ომარის მეჩეთში (იერუსალიმში) ქვის შესახებ, რომელიც მუჰამედს ცად ამაღლებისას თან უნდა გაჰყოლოდა.

99 *Hyleal. Chaos, p. 274*.

100 ტექსტი ციტირებულია ხელნაწერიდან *Figurarum aegyptiorum secretarum: "Ab omni aevo aegyptiorum sacerdotes" [p. 1]. Colophon: "laus jesu in saecula"*. ამ ხელნაწერის სურათები მე-18 საუკუნის #973 ხელნაწერის იდენტურია. ორივე ხელნაწერი ამოღებულია ნიკოლას ფლამელის *Pratique*-დან. ჩემს ხელთ არსებული ხელნაწერის ლათინური ტექსტის წარმომავლობა ჯერჯერობით ცნობილი არ არის (იხ. სურ. 23, 148, 157 და 164).

* ეგვიპტელი ქურუმები.

101 *Art. aurif. I, p. 146 ff.* იხ. რუსკას თარგმანი *Historische Studien und Skizzen zur Natur- und Heilwissenschaft, p. 22 ff.* ხილვების უფრო ძველი სერიები აღწერა ზოსიმემ *περί*

αρετης-ში და კრატესმა (*Berthelot, Chemie au moyen âge III, p. 44 ff.*)

102 *”…astrum in homine, coeleste sive supracoeleste corpus“*. რადგან რულანდის ტექსტი პარაცელსუსის ტექსტს შეესაბამება, მკითხველს ჩემს ნაშრომს *Paracelsus als geistige Erscheinung*-ს დავუსახელებდი.

103 [„საგნებზე ძალაუფლების მოსაპოვებლად საჭიროა მომზადება“]; ამით აიხსნება *”extractum“*-ი, ანუ *”quinta essentia“*.

104 ფიგულუსი წერს (*Rosarium novum*, გვ. 109): „*Anima* ფაქიზი უხილავი კვამლივითაა“.

105 *Mus. herm., p. 601 ff.*

106 *”Illa gubernat mentem “ (1. c., p. 617)*.

107 *„… exequitur nisi in mente“ (1. c., p. 617)*.

108 *A VALON, The serpent Power.*

109 მაგ., ანიმუსისსა (*Animus*) და ანიმას (*Anima*) ფიგურები. (შდრ. *C. G. JUNG, Zwei Schriften uber Analytische Psychologie* (თხზ. ტ. VII, 1964, პარაგრ. 296 და შემდგ.).

110 ბირთვი (ლათ.).

111 მენტალური დონის დაქვეითება (ფრანგ.).